3778

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 25 აპრილი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 17 (176) ფასი 30 კაპ.

ყურადღება თანამედროვე თემას

მსოფლიო ლიტერატურის მთელი ისტორია ნათელჰყოფს იმას, რომ ლიტერატურა ნამდვილ განვითარებას აღწევდა მაშინ, როდესაც ის მიმართავდა და ასახავდა თავის თანადროულ საზოგადოებას, როცა მწერლები თავიანთი ნაწარმოებებით უპასუხებდნენ მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად პრობლემებს. „აუცილებელ პირობად, რომელიც ჭეშმარიტ პოეტს ახასიათებს, უეჭველად მიჩნეულ უნდა იქნას თანადროულობა. პოეტი უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე, უნდა იყოს თავისი დროის შვილი“,—სწერდა ბელინსკი. ეს მოსაზრება სრული ჭეშმარიტებაა. პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნება მკრთალდება მაშინ, როდესაც მათში არ მოისმის თანადროულობის მძაფრი ხმა. თუ შემოქმედს სურს არ გადაიქცეს მოსაწყენ ესთეტად, რომელიც უსიცოცხლოდ სჭვრეტს აბსტრაქციებს, მან თავისი პოეტური სიტყვა უნდა მიმართოს თანამედროვეთა გულისა და გონებისაკენ, დაიპყროს თავისი თაობის ფიქრები, იყოს მოწინავე ახალი აზრებისა და იდეების პროპაგანდის საქმეში. მაგრამ ეპოქის მოწინავე იდეებით გამსჭვალულმა მწერალმა ეს იდეები უნდა გადმოგვცეს არა უბრალოდ—დეკლარაციებში, არამედ უნდა გვიჩვენოს საზოგადოება, ადამიანები, მათი ქცევა, აზრები და გრძნობები, ერთის სიტყვით, მრავალფეროვანი სურათი ცოცხალი, რეალური სინამდვილისა.

ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების აუცილებელ თვისებას ყოველთვის შეადგენდა თანადროულობა. მით უმეტესად უნდა ახასიათებდეს ეს მაღალი თვისება საბჭოთა ლიტერატურას.

საბჭოთა მწერლებს შორის არ შეიძლება არსებობდეს აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, რომ მათი საარსებო და მთავარი ამოცანაა ჩვენი დიადი სინამდვილის გამოხატვა. არასოდეს თანადროულობა მწერალს არ აძლევდა ისეთ მდიდარ მასალას, როგორსაც მას ჩვენი შესანიშნავი ეპოქა აძლევს.

საბჭოთა ლიტერატურა ლაპარაკობს სოციალისტური საზოგადოების შესახებ და ამაშია მისი არა მარტო ძალა და უეჭველი უპირატესობა ბურჟუაზიულ ხელოვნებასთან შედარებით, არამედ მისი მთავარი მიზანი, მისი ისტორიული მისია. ამითვე განისაზღვრება მისი თავისებურობა და ამოცანები.

რასაკვირველია, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ისტორიულ თემატიკას კანონიერი და აუცილებელი ადგილი უნდა ეჭიროს თანამედროვე ლიტერატურაში. ასეც არის. ჩვენ გაგვაჩნია მრავალი კარგი ისტორიული რომანი, ისტორიული მოთხრობა, ისტორიული პიესა, რომლებიც უკვე შევიდნენ საბჭოთა ლიტერატურის ფონდში. ისტორიულ თემატიკაზე შემდეგშიაც დაიწერება და შეიქმნება მრავალი ნაწარმოები, მაგრამ ჩვენი ვალია თავის დროზე მივაქციოთ მწერალთა ყურადღება იმას, რომ თანამედროვე თემატიკას მაინც მთავარი, წამყვანი ადგილი უნდა ეჭიროს საბჭოთა ლიტერატურაში.

საბჭოთა ლიტერატურის ამოცანაა— ასახოს თანამედროვე ადამიანები, ადამიანები **ლენინ-სტალინის** ეპოქისა. ჩვენ ვცხოვრობთ ახალი ფორმაციის ადამიანებს შორის. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც აშენებენ კომუნიზმის ბრწყინვალე შენობას, რომლებიც ჰქმნიან ადამიანთა ურთიერთობის ახალ წესებს, ახალ შეგნებას. ეს ადამიანები, რომელთა შორისაც ჩვენ ვცხოვრობთ და რომელთაც ჩვენ თვითონ ვეკუთვნით, უნდა წარმოადგენდნენ ჩვენი რომანების, მოთხრობების, ლექსების, პოემების და პიესების გმირებს.

მართალია ის, რომ წერა თანამედროვე თემაზე არც ისე ადვილი საქმეა. აქ ვერავის ვერ მიბაძავ. მწერალი, რომელსაც სურს გამოხატოს ჩვენი თანამედროვეობა, თვით უნდა ჩასწვდეს ღრმად ცხოვრების მოვლენებს, იგი ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეებს და სრულყოფილად უნდა ჰფლობდეს თავის ხელოვნებას, იგი უნდა იცქირებოდეს წინ და თავის თავში ორგანიულად ანვითარებდეს სიახლის გრძნობას.

თანამედროვე ცხოვრება დაუშრეტელ თემებს იძლევა. საჭიროა მხოლოდ მისი დანახვა და მაღალი მხატვრული საშუალებებით გამოხატვა.

საბჭოთა ლიტერატურა მოწოდებულია ასახოს ადამიანთა ახლებური დამოკიდებულება შრომისადმი. სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის შემოქმედებითი შრომა უნდა გადაიქცეს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების რეალურ სასიცოცხლო დასაყრდენად.

საბჭოთა ლიტერატურის გმირს უნდა წარმოადგენდეს ჩვენი მრეწველობისა და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველი, რომელიც სასწაულებს ახდენს თავისი შრომისა და ბრძოლის ფრონტებზე.

ჩვენი სახელოვანი და გმირული წითელი არმია ჯერ კიდევ ელოდება ღირსეულ ასახვას მხატვრულ ლიტერატურაში.

საბჭოთა ლიტერატურა მოწოდებულია მთელი თავისი სიდიადით შეიყვანოს ხელოვნების სამყაროში ახალი გმირი, რომელიც გამსჭვალულია სოციალისტური სამშობლოს მოქალაქის უმაღლესი ღირსებებით: გაბედულებით, ვაჟკაცობით, პატიოსნებით, თავდადებით, ბოლშევიკური შეურიგებლობით და პრინციპულობით.

ჩვენმა ლიტერატურამ უნდა ასახოს ბრძოლა ახალსა და ძველს შორის, თვით უნდა გამოვიდეს, როგორც ბრძოლის აქტიური მონაწილე კერძო მესაკუთრული ინსტინქტების წინაალმდეგ, ყველაფერი იმის წინააღმდეგ, რაც უცხო და მიუღებელია კომუნიზმისათვის.

ყურადღება თანამედროვე თემას — აი, ლოზუნგი, რომელიც თვითეულმა მწერალმა უნდა წააწეროს თავის შემოქმედებითს დროშას. ეს ლოზუნგი წამოყენებულია თვით ცხოვრების მიერ და დაკავშირებულია საბჭოთა ლიტერატურის განვითარების სასიცოცხლო ინტერესებთან.

უდავოა, რომ ეს მოთხოვნა შეესაბამება ჩვენი მწერლების ნამდვილ შემოქმედებითს მისწრაფებებს და ჩვენი მკითხველების სურვილებს.

გალაქტიონ ტაბიძის შეხვედრა მასწავლებელთა სახლის ლიტერატურული წრის წევრებთან

კვირას, 20 აპრილს, თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებულმა ლიტ-პედაგოგიურმა და ლიტერატურულ-შემოქმედებითმა წრეებმა მოაწყვეს შეხვედრა სახალხო პოეტ გალაქტიონ ტაბიძესთან, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო. შეხვედრას საქმიანი ხასიათი ჰქონდა. მწერალმა სიმონ წვერავამ თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა გალაქტიონ ტაბიძის როლი ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების საქმეში. მომხსენებელმა სავლე აბულაძემ დეტალურად განიხილა გ. ტაბიძის შემოქმედების ნიმუშები და დაახასიათა პოეტის მიერ განვლილი ცალკეული ეტაპები.

მწერალმა ილია სიხარულიძემ და დოცენტმა გრიგოლ ჯაფარიძემ ხაზი გაუსვეს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გ. ტაბიძის შემოქმედებას ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში და შეიტანეს წინადადება, რათა ლიტერატურულ-პედაგოგიურმა წრემ დაამუშაოს გ. ტაბიძის მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედება შემდეგი საკითხების მიხედვით: დიდი ბელადების—**ლენინისა** და **სტალინის** სახე გ. ტაბიძის პოეზიაში; გალაქტიონ ტაბიძე, როგორც ქართული ლიტერატურის კლასიკოსების გზის განმგრძნობი: საბჭოთა საქართველო გ. ტაბიძის შემოქმედებაში; გ. ტაბიძე, როგორც ინტერნაციონალური სოლიდარობის მომღერალი; საბჭოთა პატრიოტიზმი გ. ტაბიძის პოეზიაში და სხვ.

ახალგაზრდა პოეტებმა შ. ბაკიძემ და მიხ. ზანგურაშვილმა წაიკითხეს გალ. ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსები.

დასასრულ, გამოვიდა გალაქტიონ ტაბიძე. მსმენელებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს პოეტის მიერ წაკითხული ლექსები: „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „რევოლუციურ საქართველოს“ და „მთაწმინდის მთვარე“.

ტაჯიკური ხელოვნების დეკადის მონაწილეთა მიღება კრემლში

მიღებას დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ს. შჩერბაკოვი და გ. მ. მალენკოვი.

22 აპრილს, საღამოს, კრემლში შესდგა ტაჯიკური ხელოვნების ახლახან დამთავრებული დეკადის მონაწილეთა მიღება, რაც სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა მოაწყო.

19 საათისათვის კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში თავი მოიყარეს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებმა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, სახალხო კომისრებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, საბჭოთა კავშირის გმირებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა, სტალინის პრემიის ლაურეატებმა — მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

აქ არიან ამხანაგები: ტიმოშენკო, დიმიტროვი, ბუდიონი, ბულგანინი, ვიშინსკი, მეხლისი, პერვუხინი, კოსიგინი, კუზნეცოვი, ბადაევი, ლოზოვსკი, ტიულენევი, პროტოპოპოვი, ყურბანოვი, შაგადაევი, ზვერევი, ეფრემოვი, აკიმოვი, იაროსლავსკი, პოსკრებიშევი, პოსპელოვი, გორკინი, პაპანინი, მოლოკოვი, მიხაილოვი, პრონინი, ჰოპოვი და სხვ.

გაისმის მქუხარე ტაში როდესაც გიორგის დარბაზში შემოდიან ამხანაგები: **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ს. შჩერბაკოვი, გ. მ. მალენკოვი.**

ყველანი ფეხზე დგებიან. რამდენიმე წუთის განმავლობაში დამსწრენი აღფრთოვანებით მიესალმებიან ამხანაგ სტალინსა და მის თანამებრძოლებს.

მოკლე სიტყვით გამოდის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **მ. ბ. ხრაპჩენკო.**

— უდიდესი მღელვარებისა და სიხარულის გრძნობებს განიცდიან ამ დღეებში ამბობს იგი,—ჩვენი ქვეყნის ხელოვნების მუშაკები. ტაჯიკეთის ხელოვნების ახლადდამთავრებულმა დეკადამ საბჭოთა საზოგადოებრიობის უფართოესი წრეების ყურადღება მიიპყრო. საბჭოთა ტაჯიკეთის ხელოვნების მუშაკებმა ცხადჰყვეს თავიანთი შესანიშნავი ოსტატობა, გვიჩვენეს ტაჯიკი ხალხის კულტურის სილამაზე და სიმდიდრე.

ტაჯიკური ხელოვნების დეკადის დამთავრება დაემთხვა ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების სხვა ღირსშესანიშნავ მოვლენას **სტალინის** პრემიის ლაურეატებისათვის დიპლომების გადაცემას. დღეს ტაჯიკური ხელოვნების დეკადის მონაწილენი და სტალინის სახელობის პრემიის ლაურეატები კრემლის სასახლეში შეიკრიბნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად, ამხანაგ **სტალინთან** ერთად.

პარტიისა და მთავრობის, პირადად დიდი **სტალინის** მზრუნველობის მეოხებით გიგანტურად იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ხელოვნება და კულტურა, გაიფურჩქნა ტაჯიკეთის რესპუბლიკის ხელოვნება.

ამხ. ხრაპჩენკო წარმოსთქვამს საბჭოთა ტაჯიკეთის შესანიშნავი ხელოვნების, ტაჯიკური ხელოვნების დეკადის მონაწილეების, სტალინის პრემიის ლაურეატების, სოციალიზმის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელის — საბჭოთა ხელოვნების დიდ მეგობრის ამხანაგ **სტალინის** სადღეგრძელოს.

დარბაზში ჰქუხს ოვაცია ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. ტაში რამდენიმე წუთს გრძელდება, ყველა დამსწრე მიესალმება საყვარელ ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს.

სიტყვა ეძლევა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს **მუჰამეჯან კასიმოვს.**

— ამ დღეებში,—ამბობს ამხ. კასიმოვი, — ტაჯიკი ხალხი უდიდეს სიხარულს განიცდის. ეს სიხარული მოსკოვში ჩატარებული ტაჯიკური ხელოვნების დეკადის შედეგებით არის გამოწვეული.

ტაჯიკეთის ხელოვნების მუშაკები, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის მიერ გულთბილი მიღებითა და იმ დიდი ყურადღებით აღფრთოვანებულნი, — რაც ჩვენდამი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს, — კიდევ უფრო ენერგიულად იმუშავებენ თავიანთ თავზე, უკეთ გამოიყენებენ მრავალსაუკუნოვანი ტაჯიკური კულტურის დაუშრეტელ წყაროებს და ასახავენ ხელოვნებაში ტაჯიკი ხალხის შეძლებულ, ბედნიერ ცხოვრებას.

ძვირფასო იოსებ ბესარიონისძევ! გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალი და მრავალი წლის სიცოცხლეს მტერთა თავზარდასაცემად და მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების სასიხარულოდ.

გაისმის სასიხარულო მისალმებათა შეძახილები ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. დარბაზის თაღებქვეშ დიდ ხანს არ სწყდება „ვაშა“.

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ტუფა ფაზილოვა სიტყვას დედაენაზე ამბობს. იგი ლაპარაკობს ტაჯიკი ხალხის კულტურისა და ხელოვნების აყვავებაზე, ხელოვნების ოსტატთა წარმატებებზე, რომლებსაც მათ მიაღწიეს საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობისა და დახმარების მეოხებით, იმ მთავრობისა, რომელსაც **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი** მეთაურობს.

ამხ. ფაზილოვა წარმოსთქვამს საბჭოთა მთავრობის საყვარელი ხელმძღვანელის ამხანაგ მოლოტოვის სადღეგრძელოს. დამსწრენი მქუხარე ტაშით მიესალმებიან ამხანაგ **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლს — **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს.**

დიდი აღფრთოვანებით გამოდის ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რენა გალიბოვა.

მისი წინადადებით, დამსწრენი გულთბილად მიესალმებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **მიხეილ ივანესძე კალინინს.**

სიტყვას იღებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ვ. მ. მოლოტოვი.**

— დღეს ჩვენ დღესასწაულით აღვნიშნავთ საბჭოთა ტაჯიკეთის და, მაშასადამე, მთელი საბჭოთა კავშირის, ახალ ღირსშესანიშნავ მიღწევებს, — ამბობს ამხანაგი მოლოტოვი. — ჩვენ აქ სიხარულით ვხვდებით ამ დღეს, ვხვდებით ჩვენს შესანიშნავ ადამიანებთან — მეცნიერების, ტექნიკის, გამომგონებლობის, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში **სტალინის** პრემიის ლაურეატებთან ერთად. ჩვენ ვიცით, რომ 1941 წლის სტალინურმა ლაურეატებმა გაჰკაფეს გზა შემდგომი სახელოვანი მიღწევებისათვის მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში.

მე ჯანმრთელობას ვუსურვებ სტალინურ ლაურეატებს. გაუმარჯოს 1941 წლის სტალინურ ლაურეატებს!

დღეგრძელ იყოს ამხანაგი **სტალინი**—ვაშა!

დამსწრენი მქუხარე, აღტაცებული ოვაციით ხვდებიან ამხანაგ მოლოტოვის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს. ყველანი ერთსულოვანი აღფრთოვანებით ფეხზე დგებიან. მრავალი წუთის განმავლობაში ტაჯიკურ და რუსულ ენაზე გაისმის მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს!**“, „დიდ **სტალინს** — ვაშა!“. გიორგის დარბაზის თაღებქვეშ დიდ ხანს არ სწყდება მქუხარე „ვაშა“.

ოვაცია ახალი განსაკუთრებული ძალით იწყება, როდესაც **ვ. მ. მოლოტოვი** აცხადებს, რომ სიტყვა ეძლევა ამხანაგ **სტალინს.** აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს. ყველა დამსწრის თვალი მიპყრობილია ამხანაგ **სტალინისაკენ.** ტაშის გრიალი დიდ ხანს არ აძლევს მას სიტყვის დაწყების საშუალებას.

ამხანაგი **სტალინი** გულში ჩამწვდომად ლაპარაკობს დიდ **ლენინზე,** რომელმაც შეჰქმნა ბოლშევიკური პარტია, მოაწყო თავისუფალი ქვეყნის ხალხთა კავშირი, გვასწავლა გავუფრთხილდეთ ამ დიად კავშირს. შემდეგ ამხანაგი **სტალინი** ჯანმრთელობასა და აყვავებას უსურვებს ტაჯიკ ხალხს, უსურვებს, რომ ყოველნაირად განვითარდეს მისი კულტურა და ხელოვნება.

ამხანაგ **სტალინის** დასკვნითი სიტყვები აღფრთოვანებულ ოვაციას იწვევენ. ყველანი ერთსულოვანი აღტაცებით ფეხზე დგებიან. უდიდესი ძალით გრიალებს ტაში. მრავალჯერ გაისმის მისალმებათა შეძახილები დიდი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის — ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

მიღების მონაწილე სტუმრებისათვის დიდი კონცერტი გაიმართა.

მიღება რამდენიმე საათს გაგრძელდა. ამხანაგი **სტალინი,** პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები გულთბილად გამოემშვიდობნენ დამსწრეთ. და კვლავ გაისმის აღფრთოვანებული ოვაცია ამხანაგ **სტალინისა** და მის თანამებრძოლთა პატივსაცემად.



10 წელი დ. კლდიაშვილის გარდაცვალებიდან

დავით კლდიაშვილი და ალექსანდრე ყაზბეგი

1883 წ. ქართველ არტისტთა დასი, რომელშიაც მწერალი ალ. ყაზბეგიც შედიოდა, გასტროლებზე ბათუმში ჩავიდა. აქ პირველად გაიცნო ყაზბეგი რუსეთიდან ახლად ჩამოსულმა ოცდაერთი წლის დავით კლდიაშვილმა.

თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ დავითს განსაკუთრებული სიყვარულით აქვს აღნიშნული ყაზბეგთან შეხვედრები. მოკლე ხნის განმავლობაში მათ შორის ისეთი მეგობრული კავშირი დამყარებულა, რომ ყაზბეგს მრავალი თავისი გულისნადები გაუზიარებია დავითისთვის. ჩვენს ოჯახში შენახული იყო ფოტოგრაფიული სურათიც, სადაც ახალგაზრდა დავითი და ყაზბეგი ერთად იყვნენ გადაღებულნი. ეს ფოტო, სამწუხაროდ, დაიკარგა მაშინ, როცა ზაფხულზე ქალაქში ჩვენი არყოფნის დროს ბინიდან მოიპარეს რკინის დიდი სკივრი, სადაც სხვა ნივთებს შორის ინახებოდა დავითის ხელნაწერები და მიმოწერა. ამათ შორის კარგად მახსოვს ალექსანდრე ყაზბეგის წერილიც. ის წარმოადგენდა პასუხს დავითის წერილზე, მისი შინაარსი მოკლედ მოყვანილი აქვს დავითს თავის მოგონებებში.

„აღტაცებულმა მისი მოთხრობის „განკიცხულის“ წაკითხვით,—ამბობს დავითი,—მე გავუგზავნე წერილი და სანდროსაგან მივიღე მაგიერი, რომელშიაც იგი სწერდა: ნეტავი შენისთანა თანამგრძნობი შემატებულად მყავდეს; ბევრი ისე მექცევა, თითქო არც კი ღირდეს ჩემი ნაწერის წაკითხვა“...

ეს ნაღვლიანი სიტყვები ათქმევინა ყაზბეგს იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი უმართებულოდ მსჯელობდა მასზე: ილია ხონელის წერილი, მოთავსებული „დროებაში“, ყაზბეგს ბათუმში წაეკითხა და იმდენად აღელვებულიყო, რომ ცრემლებიც კი მორევია. დავითი ასე აგვიწერს ამ ფაქტს:

„დროებაში“ საოცარი ენით გალანძლა იგი, მიწასთან გაასწორა, რომ იტყვიან, როგორც მწერალი, როგორც პიროვნება,—ილია ხონელმა. ძლივს დავაწყნარეთ საწყალი, ტირილი რომ აუტყდა ფელეტონის წაკითხვის შემდეგ“...

დავით კლდიაშვილის წერილი, გაგზავნილი ყაზბეგთან, ახლახან აღმოჩნდა (ამის შესახებ ამხ. დ. ჯანელიძემ მაცნობა) დავითის ხელნაწერებში, რომელიც სახელმწიფო მუზეუმის არქივშია დაცული. წერილი დაწყებული აქვს დავითს რუსულ ენაზე, შიგა და შიგ კიდევ რუსული ფრაზები ურევია. ეს აიხსნება იმით, რომ რუსეთში გაზრდილმა დავითმა მაშინ ჯერ კიდევ კარგად არ იცოდა ქართული...

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ წერილსაც.

სერგო კლდიაშვილი.

* * *

„დიდათ პატივცემულო ალექსანდრე მიხეილის-ძევ!

გულწრფელად მოგესალმებით.

თქვენი „განკიცხული“ მშვენიერებაა, რომელიც ყველა ქართველს უფლებას გვაძლევს ვსთქვათ: „ყველაფერი არ მოკვდა ჩვენში, ჩვენ კიდევ ვცოცხლობთ და დიდხანს ვიარსებებთ“.

დაწაფებით და დახარბებით წავიკითხე ეს საუცხოვო ნაწარმოები, რამდენი ნაცნობი სოფიო წარმოსდგა ჩემს წინაშე! რამდენი საწყალი ტანჯული მარი აღსდგა მეხსიერებაში! თქვენი მარი, თუმცა, უფრო ბედნიერია სხვებზე; მრავალი მათგანი იქცა უუფლებო არსებათ, ტირანთა აუტანელ ავტორიტეტის ბრმა იარაღათ. თქვენი მარი სულიერად ძლიერია, ის, რამდენადაც ძალა შესწევს, იბრძვის,— თუმცა, ყველა ბრძოლაში მარცხდება; მაგრამ მასში ძლიერი სულია, დაუდგრომელი; ის ვერ ეტევა იმ ვიწრო ჩარჩოში, რომელშიაც მისი მომწყვდევა სურთ. დიაღ, ქართველ ქალს, განსაკუთრებით ახალი თაობისას, არ შეეძლო სოფიოს მონა გამხდარიყო; ეს უგულო, უზნეო დედაკაცი ვერ დაიმორჩილებს თავის დღეში ვერც ერთ მარის, როდესაც ამ უკანასკნელს იმისთანა მომხრე ყავს, როგორც ლევანი; პატიოსანი, ჭკვიანი, პრინციპის კაცი, — ლევანი ყოველთვის იქნება მფარველი სუსტის ძალით მარის. მე ვგონებ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან დავალებულია მწერლისაგან, რომელმაც დახატა ისეთი ტიპები, როგორც ლევანი და მარი. ღმერთმა ქნას რომ ეს ვალი კიდევ გადიდდეს, ყოველ წლივ გვემატებოდეს მაგნაირი ვალები! დაე გულზე გასკდნენ სოფიო და პორფირიუშკა, რომ მათი ვინაობა დაუფარავად გამოააშკარავეს, რომ პირველის უკიდურესი, უსაზღვრო ეგოიზმი, გარყვნილობა, უზნეობა, უგულობა ისრე ცხადი შეიქმნა; მეორემ თავისი დღე ინანოს, რომ ქვეყანამ შეიტყო (ამისი ხომ ეშინოდა) მისი უხასიათობა, მისი სიდამბლე, მისი ტვინთხელობა. მე გამახსენდა ან. ფურცელაძის „ვაი მართალთა“. მას ისევე ტემა აქვს რაც „განკიცხულს“, მაგრამ ხელობა, ხელობა და ხელობა... სად „ვაი მართალთა“, სად „განკიცხული“!? ძალდატანებამ, არაბუნებრივობამ გააფუჭა ყველაფერი „ვაი მართალთაში“. დიაღ, მხატვრულობით, რეალობით და ტიპიურობით იტაცებს მკითხველს „განკიცხული“. გაუმარჯოს „განკიცხულს“, გაუმარჯოს მის დამწერს, მრავალ ჟამიერ!

ალექსანდრე მიხეილის-ძევ, გთხოვთ უარს ნუ მეტყვით და მაცნობეთ შინაარსი ორი გამოტოვებული თავისა; იმედი მაქვს უარს არ მივიღებ. იმედი მაქვს, რომ ნათაძის სახელზედ ან პირდაპირ ჩემ სახელზედ მოვა წერილი რომელიც დააბოლოვებს იმ აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩემზედ და სხვებზედ აქაურებზედ „განკიცხულმა“. თუ არ გეწყინებათ იმასაც მოგახსენებთ, რომ თქვენს ნაწერებში, რომლებიც მე თითქმის ყველა წაკითხული მაქვს, ერთი ვერ აჯობებს „განკიცხულს“. „განკიცხული“ ჭეშმარიტად, წმინდა ნაწარმოებია უმაღლესი მხატვრობისა, წმინდა ხელოვნებისა. ღმერთმა ქნას, რომ ამისთანა თხზულებები ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენს ლიტერატურაში. უფალმა გააძლიეროს ყოველი მარჯვენა რომელიც ასრე ასაჩუქრებს თავის ქვეყანას.

თუ თხოვნას ამისრულებთ და ისრე დამავალებთ რომ შემატყობინებთ იმ ორ გამოშვებულ თავების შინაარსს, ძლიერი მადლობელი ვიქნები. ჩემი ადრესი „ივერიის“ რედაქციაშია. შეგიძლიათ წერილი ჩადოთ „ივერიის“ ჩემს ნომერში და ისრე გაგზავნოთ. სულით და გულით ველი და დარწმუნებული ვარ უარს არ მივიღებ.

ვშთები თქვენი მარადის პატივისმცემელი

დავით კლდიაშვილი“

14 აპრილს 1884 წ.

ქ. ბათუმი.

„მორევი“

ა. სულავა

ჯერ „ახალი გლეხებით“, შემდეგ თანამედროვე იმერეთის სოფლის ცხოვრების ფართო მხატვრული ტილოთი „იმერეთით“ და ბელორუს გლეხთა სინამდვილის ამსახველი „უკვდავებით“ დაამტკიცა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, რომ ის არის სოფლისა და გლეხობის ყოფის შესანიშნავი მცოდნე, დაკვირვებული და ჭკვიანი მხატვარი. ამ აზრს უფრო მეტად აღრმავებს მისი უკანასკნელი ნაწარმოები „მორევი“.

„მორევი“ „იმერეთის“ გაგრძელებაა, ამიტომ მისი განხილვა პირველ წიგნს უნდა დავუკავშიროთ. თუ პირველ წიგნში მხატვარმა აღწერა არტელისათვის ბრძოლის მძაფრი სურათი და პერსონაჟების კლასობრივი ურთიერთობის კონფლიქტები, „მორევში“ ეს კონფლიქტები უფრო რთულ ვითარებაშია წარმოდგენილი, ამავე დროს მოქმედ პერსონაჟებიდან ტიპები უფრო ინდივიდუალიზებულნი არიან. ამით მწერალმა გამოასწორა პირველი წიგნის ნაკლი. ტიპების ინდივიდუალიზაცია თავისებურ გავლენას ახდენს რომანის სიუჟეტურ კომპოზიციაზე. მხატვრობის თვალსაზრისით, „მორევი“ დაწერილია უხვი ფერადებით.

ხელოვნებაში მთავარი ზომიერების გრძნობაა, — ამბობდა ლევ ტოლსტოი. ამ თვისებითაა სწორედ დაჯილდოვებული კ. ლორთქიფანიძის „მორევი“. მოქმედების, დეტალების, დიალოგების, პერსონაჟების აღწერაში იგი ზომიერია, არსად არ არის ზედმეტი შტრიხი, ზედმეტი ფერი. იმას, რასაც ზოგი მწერალი რამდენიმე ფურცელს მოანდომებდა, კ. ლორთქიფანიძე ხშირად ერთი ეპიზოდით და ერთი დეტალით იძლევა. ამიტომ „მორევი“ უაღრესად დახვეწილი ნაწარმოებია. მასში არის ლაკონიზმი, კოლორიტი, ლირიკული სიფაქიზე.

თუ პირველ წიგნში გმირების ხასიათები კ. ლორთქიფანიძეს ზოგ შემთხვევაში დასრულებული არ ჰქონია, „მორევში“ ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. ასეთია ამ რომანში ბარნაბა საგანელიძის ტიპი. კ. ლორთქიფანიძე მისი ხასიათის გახსნას ღრმად ცდილობს. თუ პირველ წიგნში ბარნაბა აშკარად გამოდიოდა, როგორც კლასობრივი მტერი, კლასობრივი ბრძოლის ახალ სიტუაციაში, საკოლმეურნეო მოძრაობის განმტკიცების პერიოდში იგი ახალი ხერხებით მოქმედებს. ბარნაბა ცხოვრებიდან უბრძოლველად არ აპირებს წასვლას. ბარნაბას დრამა იმდენად მახვილად აქვს მწერალს დახასიათებული, რომ მის მაგალითზე ერთხელ კიდევ დასტურდება ნათლად ის ჭეშმარიტება, თუ რამდენად აველურებდნენ და აბოროტებდნენ ადამიანის ბუნებას მიწის კერძო მესაკუთრეობის ინსტიქტები.

საბჭოთა სინამდვილემ გამოიყვანა ახალი ადამიანები, რომლებიც უდიდესი ერთგულებით და ნებისყოფით იბრძვიან ახალი ცხოვრების დასაცავად. ამ ადამიანებს სოციალიზმის გამარჯვების ნათელი რწმენა ამოძრავებთ. ასეთი ადამიანების წარმომადგენელნი არიან ამ ნაწარმოებში ტარასი, მექი და სხვები.

განსაკუთრებით საყურადღებოა მექის პიროვნება. იგი ყველაზე დაჩაგრულ, მიწასთან გასწორებულ ადამიანთა ფენიდანაა გამოსული, იგი ყოფილი მოჯამაგირეა. მოჯამაგირეობა ყველაზე დამამცირებელი ფორმა იყო ექსპლოატაციისა. ამიტომ სავსებით სწორია კ. ლორთქიფანიძის მოფიქრება — ასეთი ადამიანის მაგალითზე ეჩვენებინა „სოფლის ცხოვრების იდიოტიზმის“ დასასრულის ისტორია.

მექი ტიპიური წარმომადგენელია ახალი ცხოვრების მიერ სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანილი ადამიანებისა. საბჭოთა სინამდვილემ ის ეპოქის მოწინავე ადამიანამდე აიყვანა. იგი გამოაღვიძა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ. კლასობრივ ბრძოლაში მონაწილეობამ გაუჩინა მას ახალი მეგობრები. კომუნისტი ტარასი მექის თანამებრძოლია. მათი კლასობრივი მეგობრობა იმდენად ორგანიულია, რომ სრულიად სამართლიანად უწოდა ერთმა რუსმა კრიტიკოსმა კ. ლორთქიფანიძის „იმერეთის“ გამო, თავის წერილს „ტარასის გამარჯვება — მექის ბედნიერებაა“-ო.

ტარასი იმ ბედნიერების მატარებელია სოფლად, რომელიც მშრომელი გლეხობისათვის პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას მოაქვთ. ტარასიც იმავე გზით შემოვიდა ცხოვრებაში, როგორითაც მექი. კ. ლორთქიფანიძე სიყვარულით შლის ტარასის ცხოვრების ფურცლებს. იგი თანდათან გვიჩვენებს მის ზრდას, შეგნებულ ცხოვრებას.

ადამიანის შეგნების ზრდის პროცესი რთული პროცესია. მექიმ ბრძოლის საკმაოდ გრძელი გზა გაიარა, სანამ შეგნებული მებრძოლი გახდებოდა. მწერალი ნათელი საღებავებით გვიხატავს მექის ცხოვრებას, შრომას, ოცნებას და სიყვარულის თავგადასავალსაც. სიყვარულში მექის ბედი არა სწყალობს, მან ხალხში ავტორიტეტი მოიპოვა, მაგრამ თალიკოს გული ვერ მოიგო. თალიკო ვერ შერიგებია ყოფილი მოჯამაგირის სასიყვარულო გატაცებას და აბუჩად იგდებს მას. მექის სტანჯავს ეს სიყვარული და ხშირად უცნაურ ოცნებას ეძლევა.

მიწა ბარნაბასავით მექისაც უყვარდა, მაგრამ ამ ორი ადამიანის სიყვარული მიწისადმი სხვადასხვანაირია. ბარნაბას სიყვარული ექსპლოატატორის სიყვარულია, მექის სიყვარული კი ხალხის ბედნიერებისაკენაა მიმართული. მექის ოცნებაა — დაიმორჩილოს მიწა, რომ მისი ნაყოფი იდეების გამარჯვებაში მოიხმაროს, მტკიცედ ჩააბას კოლმეურნეობაში გლეხთა ურწმუნო და მერყევი მასა, დაამტკიცოს კოლექტიური მეურნეობის განსაკუთრებული უპირატესობა კერძო მესაკუთრულ მეურნეობასთან შედარებით.

კოლმეურნეობის მეთაურებმა მიაღწიეს ღარიბი გლეხობის გაერთიანებას კოლმეურნეობაში. მექი როდი კმაყოფილდება ამ მიღწევით, იგი ციტრუსების გასაშენებლად იბრძვის. მარგველაძე ეჭვით ეკიდება მექის წამოწყებას, მაგრამ მექი გამსჭვალულია გამარჯვების რწმენით. ყველგან ჩემსავით რომ ზარალობდნენ, მაშინ ფორთოხლებს არ მოაშენებდნენო, უპასუხებს იგი მარგველაძეს. შენ რა შუაში ხარ. მიწა არ იღებს, ჩვენი მიწა, მიწას უნდა გავუგონოთ, — უპასუხებს მარგველაძე. მაგრამ მექი აბა რისი კომკავშირელია, თუ ასე ადვილად დასთმობს თავის განზრახვას. მარგველაძეს იგი ასე უპასუხებს: „მიწამ ჩვენ უნდა გაგვიგონოს“. ეს მებრძოლი ადამიანის პასუხია. იგი თავს დასტრიალებდა ნერგებს, „რომ ჭირვეული ნერგი დაემორჩილებინა, ურწმუნო გლეხების გული მოეგო“. ვინ იყვნენ ეს ურწმუნო გლეხები! კოლმეურნეობაში შესული გუშინდელი ზოგიერთი ერთპიროვნული გლეხი, რომელსაც არა სჯერა თავის მიწაზე ციტრუსების გახარება. საკოლმეურნეო მოძრაობამ საშუალო გლეხის ბუნებაში დიდი ცვლილებები შეიტანა, მაგრამ გლეხი უდიდესი პრაქტიკოსია, იგი ნაბიჯს არ გადასდგამს, რომ არ შეამოწმოს. მექიც ამიტომ იბრძვის, უნდა ნერგები გაახაროს და გლეხები დააჯეროს ამ კულტურის უპირატესობაში.

მარგველაძე მიწის მოყვარული გლეხია, მას საკუთარი ფილოსოფია აქვს ამის შესახებ: „ნეტავი კაცმა იცოდეს ისე დაფასება, მიწა, რომ შრომას აფასებს. ბუნებით ყველა ზარმაცი იბადება, მაგრამ კაცობა მაშინ გეწყება, მიწას რომ შეიყვარებ. მიწაა, მიწა ჩვენი კაცობის დამთვლელი“. მარგველაძე მიწის კერძო მესაკუთრული სიყვარულიდან არ არის ჯერ კიდევ განთავისუფლებული, მიუხედავად იმისა, რომ წინად მიწა და შრომა არავითარ ბარაქას არ აძლევდა მას. მარგველაძე ისეთი გლეხის ტიპია, რომელიც ყოველთვის რაღაცას უცდის. მისი მუდმივი პასუხია: „მაცადეთ კიდევ, მივიხედ-მოვიხედო“. კ. ლორთქიფანიძეს ამ არჯალი გლეხის სახით შესანიშნავი ტიპი ჰყავს დახატული.

არჯალი გლეხის ტიპია ვენა უშვერიძეც. თუ მარგველაძე „მივიხედ-მოვიხედოს“ ტაქტიკას ადგა, უშვერიძეს ისე ეჭირა თავი, რომ მუდამ უკმაყოფილო ყოფილიყო: „მომდურავი რომ ვიქნები, უფრო დამაფასებენო“. კოლექტივში უკმაყოფილო კაცის სახელი უნდოდა დაეგდო, მაგრამ ისე იქცეოდა, „რომ არც ძალიან მოშინაურებულიყო, არც უცხოდ ჩაეთვალათ“. უშვერიძემ მიზანს მიაღწია. კოლექტივში მას ისე ექცეოდნენ, „როგორც ხელის გულზე დაწვეთებულ ვერცხლის წყალს“. ამ შედარებაში ადამიანის მთელი ხასიათია ნაჩვენები.

კ. ლორთქიფანიძე რეალისტური სიცხადით ასახავს მერყევი გლეხების ტიპებს, მაგრამ იგი არ უპირდაპირებს მათ გამარჯვების რწმენის მქონე გლეხებს. ტარასი კომუნისტია, მექი კომკავშირელი. სადღა არიან უპარტიო გლეხები, რომლებსაც ეყრდნობა პარტია და ისინიც მიჰყვებიან მას? ეს უსათუოდ ამ ნაწარმოების ნაკლია. მართალია, ნაწარმოებს „მორევი“ ეწოდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სოფლად სოციალური ბრძოლა მორევს ჰგავს, სოფელი რთული წინააღმდეგობის ვითარებაშია, მაგრამ იმის საჩვენებლად, თუ რა გზით მიდიოდა სოფელი, აუცილებლად საჭირო იყო გლეხური მასის, უმრავლესობის ჩვენება.

„მორევში“ კ. ლორთქიფანიძემ გვიჩვენა საკოლმეურნეო მოძრაობის ის ეტაპი, როცა სოფელი ის იყო თავისუფლდებოდა კერძო-მესაკუთრული ძალების გავლენისაგან, მაგრამ იმის გამო, რომ გუშინდელ ერთპიროვნულ მეურნეებს საკოლმეურნეო მიწის დამუშავების გამოცდილება არა ჰქონდათ, კოლმეურნეობა ძიების პროცესში იმყოფებოდა, ახალ მეთოდებს ეძებდა, უნდოდა „რაღაც ისეთი წესი შემოეღოთ, რომ მეჩრდილისათვის ჩრდილი მოესპოთ, პატიოსანი შრომის წესი განემტკიცებინათ“. რომანის მთელი სიტუაცია სწორედ ამ განხრით ვითარდება. ეს პერიოდი შეძლებულობის დასაწყისის პერიოდია, როცა მიწის სწორად გამოყენებისა და შრომის დისციპლინის, საკოლმეურნეო საკუთრების საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა მიეცათ.

რომანის მომავალ ნაწილში, ალბათ, ასახული იქნება ის, თუ რა გზით მივიდა საკოლმეურნეო სოფელი შეძლებულ ცხოვრებამდე და როგორ გადაიქცა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად. ამ პროცესის წინაპირობას იძლევა „მორევის“ პირველი ნაწილი.

პირველ წიგნთან შედარებით, „მორევი“ კ. ლორთქიფანიძის მიერ დაწერილია მეტი ოსტატობით. ენა უფრო დახვეწილია, ზოგან პირდაპირ ლირიკულიც. იგი სავსეა ბუნების ლამაზი სურათებით. კ. ლორთქიფანიძის პეიზაჟი არ არის თვითმიზნური. იგი ხშირად გმირის განწყობილების ან სიტუაციის გახსნაა. მას ბუნების გრძნობა ახასიათებს. რომანში არის ასეთი ადგილები: „ღამე სავსე იყო ქარით და ჩატაროებული სიმინდის შრიალით“, „ცაზე თანდათან ჩნდებოდა ფეტვივით წვრილი ვარსკვლავები. დიდი, ნათელი მთვარე განათებულ სარკესავით კიაფობდა მორეული წიფლების ტოტებში“. მხატვრულადაა აღწერილი ანარიას ჭაობიანი მინდვრების სურათი. საყოფაცხოვრებო დეტალების თვალსაზრისით რომანში მრავალი საინტერესო ეპიზოდია. ასეთია თუნდაც დახუნდარას სტუმრობა ელიბო მჭედელთან, მექის ცეკვა თალიკოსთან, კირილეს ავადმყოფობის ამბავი და სხვ. ყოველი ასეთი დეტალი, შედარება უშუალოა, ემოციურია. ყველაფერი ეს განსაკუთრებულ კოლორიტს აძლევს ნაწარმოებს.

ადამიანთა ტიპების მოხაზვაში კ. ლორთქიფანიძე სიმახვილეს იჩენს, ცდილობს გვიჩვენოს ისინი ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნებით, მაგრამ ისე, რომ არ მოაკლოს ადამიანური თვისებები. მწერალმა იცის, რომ კლასობრივ ბრძოლაში უდიდესი სისასტიკით ეჯახებიან ერთმანეთს ადამიანები, რომელთაც თავისებური თვისებები გააჩნიათ. ბარნაბა საგანელიძეც კი, ეს უაღრესად ბოროტი ადამიანი, თბილი გრძნობით ესიყვარულება თავის ქალიშვილს, ამავე დროს ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მოაშოროს სოფელს ტარასი ხაზარაძე. ხაზარაძე კომუნისტია, მაგრამ იგი ტყვიას ვერ ესვრის შიშვლად მყოფ ყაჩაღ შავიშვილს, კომუნისტების დაუძინებელ მტერს და სთხოვს ჩაიცვას. ტარასი ამით სრულიადაც არ ღალატობს თავის კლასობრივ შეხედულებას. ყველაფერი ეს ობიექტურ დამაჯერებლობას აძლევს კ. ლორთქიფანიძის მხატვრობას.

რომანი „მორევი“ იმის მაჩვენებელია, რომ კ. ლორთქიფანიძე, როგორც ბელეტრისტი, მოწიფულობის ხანაშია. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი რომანი „იმერეთი“, საბოლოოდ დასრულებული, ქართული საბჭოთა პროზის ნამდვილი გამარჯვება იქნება.

დავით კლდიაშვილის ხსოვნის საღამო

28 აპრილს, მწერალთა სასახლეში მოეწყობა **დავით კლდიაშვილის** ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის **შ. რადიანი**.

დავით კლდიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებებით გამოვლენ — **გ. ქიქოძე და ა. გაწერელია**.

სიტყვებით გამოვლენ: **შ. დადიანი, ს. კლდიაშვილი, დ. შენგელაია, ლ. ასათიანი**.

მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მსახიობები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

ლიტერატურული წრეების შეკრება თბილისის მასწავლებელთა სახლში

1921 წლის 26 აპრილს **ლენინმა** ხელი მოაწერა დეკრეტს განათლების სახლების შექმნის შესახებ. ამ ღირსეული თარიღის ოცი წლისთავის აღსანიშნავად გაცხოველებით ემზადება თბილისის მასწავლებელთა სახლი. თვითმოქმედი წრეები აწყობენ საღამოებს. შაბათს 19 აპრილს ამ სახლთან არსებულმა ორმა წრემ, ლიტერატურულ-შემოქმედებითმა და ლიტერატურულ-პედაგოგიურმა მოაწყო გაერთიანებული საანგარიშო ლიტერატურული საღამო.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ წრეებს ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებიათ. ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრე ხუთი წელია არსებობს. მასში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი აღიზარდა: შ. ამისულაშვილი, ი. ნონეშვილი, მ. გელოვანი, ა. თევზაძე, სანდრო ჟღენტი და სხვები.

ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის მუშაობა მრავალფეროვანია. წრის წევრთა ნაწერი სისტემატურად იბეჭდება „ჩვენს თაობაში“, „პიონერში“ და „ნორჩ ლენინელში“. წრეში კვალიფიკაციურ ლექტორთა მიერ წაკითხულ მოხსენებებიდან ყურადღებას იქცევენ შემდეგი თემები: „ქართული ვერსიფიკაციის საკითხები“, „შემოქმედებითი მეთოდი“, „საბა-სულხან ორბელიანი“, „იაკობ გოგებაშვილი, როგორც საბავშვო მწერალი“, „ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება“. წრის აქტიურ წევრთა მიერ წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: „ბელადის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში“, „აკაკის პოეზია და პროზა“, „მაიაკოვსკის შემოქმედება“, „ქართული საბავშვო ჟურნალები ორი უკანასკნელი წლის მანძილზე“, ჟურნალ „ჩვენი თაობის“ 1939 წლის ნომრების განხილვა“, „ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება“ და სხვ.

ლიტ-პედაგოგიურ წრეს ჯერ მხოლოდ ნახევარი წლის ისტორია აქვს, მაგრამ მან უკვე მოასწრო ისეთი მოხსენებებით გამოსვლა, როგორიცაა: „მხატვრული შემოქმედება და ფანტაზია“, „ქართული ხალხური ხატოვანი თქმები“, „საქართველო ლერმონტოვის შემოქმედებაში“ და „სტალინის სახე საბჭოთა ხალხების პოეზიაში“.

საღამოზე თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს: ილია სიხარულიძემ, ანდრო თევზაძემ, გ. ხეჩუაშვილმა, სიო ხიდისთაველმა, სავ. აბულაძემ, ალ. კოკაიამ, თ. ჯანგულაშვილმა, რეზო თაბუკაშვილმა, მიხ. ზანგურაშვილმა ვ. ხალიფაშვილმა, აკ. ქვათუჯაძემ, შ. ბაკიძემ, მურ. ლებანიძემ და სხვებმა.



„რთველი“ (ხეზე კვეთილობა) — შესრულებული გ. ავალიშვილის მიერ.
(თვითმოქმედებითი სახვითი ხელოვნების გამოფენიდან)

დავით კლდიაშვილი

შალვა რადიანი

დავით კლდიაშვილი ძველი იმერეთის ცხოვრების შეუდარებელი მხატვარია. მის მოთხრობებსა და კომედიებში რეფორმის შემდეგდროინდელი იმერეთის ყოფა მოცემულია თავისი დამახასიათებელი ნიშნებით. ამ შესანიშნავ მწერალს არ გამოჰპარვია მხედველობიდან არც ერთი მომენტი, რომელიც ძველ ცხოვრებას რაიმე მხრით ახასიათებდეს. მისი ნიჭის ღირსებას ის შეადგენს, რომ ჩვეულებრივი შემთხვევების უბრალო ეპიზოდების საფუძველზე ჰქმნის დასრულებულ სურათს. მას მეტად მჭრელი და განვითარებული ხედვა აქვს.

დავით კლდიაშვილის პირველი მოთხრობები „შერისხვა“ და „მსხვერპლი“ თემატიურად ხალხოსანი მწერლების ნაწარმოებებს უახლოვდებიან. ამ მოთხრობებში დავით კლდიაშვილი ეხება რევოლუციამდელი სოფლის უნუგეშო ცხოვრებას, მის ჩამორჩენილობას და გონებაშეზღუდულობას, შურსა და მტრობას. აქ გლეხობის ყოფა სრულიად უპერსპექტივოა, უნუგეშო, სოფლის ცხოვრება ბოლომდე ჩამობნელებული გამოიყურება.

„შერისხვასა“ და „მსხვერპლში“ უკვე მოსჩანს ოსტატი, მაგრამ აქ ჯერ კიდევ მაინც არ არის ის დავით კლდიაშვილი, რომელმაც მთელი თავისი ძალა გამოაჩინა „სოლომონ მორბელაძეში“, „სამანიშვილის დედინაცვალში“, „ქამუშაძის გაჭირვებაში“, „ირინეს ბედნიერებაში“ და სხვა ნაწარმოებებში. დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი ნიჭი დიდი მაშტაბით გაიშალა მოთხრობების იმ ციკლში, რომელიც მომაკვდავი თავად-აზნაურობის ცხოვრებას მიეძღვნა. ამ ციკლის ნაწარმოებებით დავით კლდიაშვილი ქართულ ლიტერატურაში შევიდა როგორც მნიშვნელოვანი და ორიგინალური მხატვარი.

დ. კლდიაშვილს ამ მოთხრობებში ახასიათებს თავადაზნაურული ქვეყნის უარყოფა, მისი მხილება, მისი კომიკურ ასპექტში ჩვენება, მისი უბადრუკობისა და სიმახინჯის გამომზეურება. იგი აშორებს ესთეტიზმის ნიღაბს თავად-აზნაურულ სამყაროს. ამ ნაწარმოებებში დ. კლდიაშვილი გამოვიდა კრიტიკული რეალიზმის ხაზის გამგრძელებლად ქართულ ლიტერატურაში. მისი კრიტიციზმის სიმკვეთრე მიმართული იყო თავად-აზნაურობის წინააღმდეგ.

დ. კლდიაშვილი ძველი ცხოვრების მოვლენებს, თავადაზნაურული ყოფის სინამდვილეს შესანიშნავად იცნობდა. იგი არ მიმართავდა უსაგნო ფანტაზიას, უაზრო „გამოგონებებს“, არამედ აგვიწერდა მხატვრულ სახეებში იმას, რასაც სინამდვილე იძლეოდა. მას უმეტეს შემთხვევაში თავისი მოთხრობების ფაბულად აღებული აქვს ფაქტი, ცხოვრებაში მომხდარი ნამდვილი ამბავი. ასეთ ფაქტზეა აგებული „შერისხვა“, „წრფელი გული“, „მიქელა“, „მსხვერპლი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და სხვ. თვითონ მწერალი თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „ჩვენ ახლო მეზობლად ცხოვრობდა „საიქიოს ნამყოფი“ გლეხი ლევანა სირბილაძე. შესამჩნევი პიროვნება იყო... ბევრი ამბავი იცოდა ლევანმა. ხშირად იტყოდა — დიდი ხნის სიცოცხლე მაქვს, რადგან საიქიო მაქვს მონარბენიო. „საიქიოს ყოფნის“ ამბავი არა ერთხელ მომიყოლებია ლევანისათვის და მისი ეს ნაამბობი თითქმის სიტყვა-სიტყვით შეტანილი მაქვს მოთხრობა „მსხვერპლში“... (თხზულებანი, ტ. II, გვ. 109).

დ. კლდიაშვილის ბიოგრაფი ს. კლდიაშვილი „სამანიშვილის დედინაცვალის“ შესახებ სწერს: „სამანიშვილის დედინაცვალის“ გმირები ბეკინა და პლატონი, არისტო, კირილე, მიმინოშვილი სინთეტიური სახეა იმ ხალხისა, რომელიც თვითონ უნახავს ავტორს სიმამრის ოჯახში ან ვის შესახებაც სიმამრისაგან გაუგონია. თვით ამბავი, რომელზედაც აგებულია მოთხრობა, დაახლოვებით წარმოადგენს ფაქტს. ამბავი გადახდა დავითის სიმამრის ერთ ნაცნობ აზნაურს. მე კარგად მახსოვს ბეკინას პროტოტიპი“ (სერგო კლდიაშვილი — „დავით კლდიაშვილი“, გვ. 36). იგივე ბიოგრაფი აღნიშნავს: „აზნაურები შეძლებულნი, ღარიბნი, გალატაკებულნი, — მთელი ეს ქარავანი იმ ტიპების, რომლებიც ასე ცხოვლად აქვს გადმოცემული დავით კლდიაშვილს, დავითის სიმამრის ოჯახში არის გავლილი და აქ მწერლის მიერ დანახული“ (იქვე, გვ. 33-34). მაგრამ ამ ფაქტიურ მასალას დ. კლდიაშვილი ნატურალისტურად არ იმეორებდა, არ ახდენდა მის რეგისტრირებას, არამედ აჰყავდა იგი მხატვრულ სახეებამდე, მხატვრულ განზოგადოებამდე. ამიტომაა, რომ მისი მოთხრობების გმირები, რომლებიც ერთი ქვეყნის შვილები არიან, მრავალფეროვან და დაუვიწყარ ტიპებად არიან გამოქანდაკებულნი.

დ. კლდიაშვილის მხატვრული ნაწარმოებები უმთავრესად ეკუთვნიან კომიკურის ურთულეს ფორმას — ჰიუმორს. ეს უკანასკნელი, როგორც ფორმა კომიკურისა, უპირველეს ყოვლისა მოითხოვს სასაცილოსი და სერიოზულის მტკიცე კავშირს ურთიერთთან. სერიოზული მხოლოდ მაშინ მოქმედებს ჰიუმორისტულად, როდესაც იგი იქმნება კომიკური მოძრაობის, მოქმედების საფუძველზე. დ. კლდიაშვილი იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც სავსებით ჰფლობდა ჰიუმორის ოსტატობას. ჰიუმორი დ. კლდიაშვილისათვის ორგანიული თვისებაა, რომლის გამოყოფაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი შემოქმედებიდან. სწორედ ეს აძლევს თავისებურ, განუმეორებელ კოლორიტს დ. კლდიაშვილის შემოქმედებას. მისი ჰიუმორი დიდი ძალისა და ზეგავლენის მომხდენია, იგი არ სტოვებს მკითხველს გულგრილს იმ ამბებისადმი, რომლების შესახებაც მოგვითხრობს მწერალი. მკითხველში მისი მოთხრობებიდან ჰიუმორისტულ განწყობილებას ჰქმნის მომქმედ პირთა მდგომარეობა, ხოლო სიტყვიერი მასალა აძლიერებს მას.

რომ დ. კლდიაშვილი კომიზმის გზით იძლეოდა თავისი პერსონაჟების ცხოვრებას, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მწერლის თვისებებში, სურვილში ან მიმართულებაში, რომ ყველაფერში დაენახა უარყოფითი, სასაცილო, არამედ იმაში, რომ აზნაურული ყოფა იმ დროს სწორედ ასეთ ტიპების განზოგადოებულ გალერეას წარმოადგენდა. აქ ადგილი ჰქონდა იმავე მოვლენას, რასაც ბელინსკი აღნიშნავდა გოგოლის შესახებ: „მიზეზი ამ კომიზმისა, ამ კრიტიკული გამოხატვისა მდგომარეობს არა ავტორის თვისებაში, ან მიმართულებაში, რომ ყველაფერში დაინახოს სასაცილო მხარე, არამედ ცხოვრებისადმი სწორ მიდგომაში“. დ. კლდიაშვილის მიერ დახასიათებული აზნაურები ყველანი ერთ მდგომარეობაში იმყოფებიან. აქედან ხასიათის ერთიანობა; მათი უბადრუკობა მოსჩანს მათსავე მდგომარეობასა და მოქმედებაში. მათ კურიოზობას და კომიკურ მდგომარეობას აძლიერებს მათივე მოქმედება. „შემოდგომის აზნაურთათვის“ ეკალაც სანატრელი გამხდარა. ზოგიერთი აზნაურისათვის კი ძაღლი ასრულებს მარჩენალის როლს: იგი სხვისი ოჯახებიდან გამოტაცებულ სურსათ-სანოვაგეს უზიდავს თავის პატრონს. მოვუსმინოთ ერთ მათგანს, აი რას ამბობს თავისი ძაღლის შესახებ: „უბრალო შავი ნაგაზია, მაგრამ ყოველ ჩემს კეთილს და ჩემისთანა ხელმოკლე კაცს ღმერთმა მისცეს იმისთანა შემბრალე და თანამგრძნობი. ერთობ რამე სულიერია... დილას, ბატონო, რომ ადგება, კაი დაკვირვებული ადამიანივით შემოირბენს სახლის ყოველ კუთხეს. ერთი წაქცეული სამზარეულო მაქვს. იქაც მისუნავს-მოსუნავს და თუ შეხედა, რომ სახლში არაფერი არის გასაკეთებელი, ერთი გავარდება, გავარდება ეზოდან, შემოირბენს მეზობლებს, სად კეციდან ჭადს ააგლეჯს, გამოიტანს და მოარბენინებს, სად ქათამს ფრთას წააგლეჯს და მოაწანწალებს, სად კვერცხს გამონახავს, ხანდახან ჩადებულსაც არ დამიწუნებენო — გადასწყვეტს და აგერ რომ გგონია—დღეს უსადილოთ ვრჩებით, გადაწყვეტილი გქავს,—ეს ღვთისნიერი სულდგმული ხელდახელად ამივსებს ცალიერ სუფრას ათასნაირი საჭმელებით, თითქოს მეზობლებისაგან ხონჩები მომსვლოდესო“... აქამდე დაქვეითდა აზნაურობის ეკონომიური მდგომარეობა. მისი არსებობის ერთად-ერთ წყაროდ ძაღლის მოტაცებული სანოვაგე ითვლება. გალატაკებული აზნაურები არ თაკილობენ სიცრუე ილაპარაკონ, ეკვირინე, ოტია ქამუშაძის დედა, ამაყობს, რომ იგი დიდი გვარის ჩამომავალია, რომ თითქოს ოტიას დიდი მამულები აქვს.

დ. კლდიაშვილი რელიეფურად გვიჩვენებს ურთიერთობას ადამიანის მოქმედებასა და სინამდვილეს შორის. იგი მოთხრობებში იძლევა ამა თუ იმ ტიპის განსაზღვრულ თვისებებს, რომლებიც შეხამებულია მის როლთან ცხოვრებაში. ემოციების მხრივაც მომქმედ პირებს — სულერთია, იქნება ეს სოლომონ მორბელაძე, ბეკინა სამანიშვილი, პლატონ სამანიშვილი, კირილე მიმინოშვილი, ოტია ქამუშაძე, არისტო ქვაშაძე თუ სხვა ვინმე, ახასიათებთ შინაგან განცდათა სიღარიბე, ინტიმურ გრძნობათა პრიმიტიულობა. მთელი მათი ცხოვრება ზედაპირზეა ამოტივტივებული. შინაგანი სიღრმე, შინაგანი ცხოვრება მათ თითქოს არც კი აქვთ. ისინი უფრო მეტს ლაპარაკობენ ვიდრე განიცდიან და გრძნობენ. იქაც კი სადაც მწერალი ცდილობს მათი ემოციების გადმოცემას, ყველაფერი რაღაც უსუსურ შთაბეჭდილებას სტოვებს, იმდენად დაბალია ეს ემოციები.

დ. კლდიაშვილის ნაწერების მომქმედი პირები არა მარტო წოდებრივი ან ეკონომიური ნიშნებით ემსგავსებიან ერთმანეთს, არამედ თავიანთი ფსიქოლოგიური წყობითაც. მაგ., ფსიქოლოგიურად დიდ განსხვავებას ვერ დაინახავთ კირილე მიმინოშვილსა („სამანიშვილის დედინაცვალი“) და აბესალომ სალამთაძის („ირინეს ბედნიერება“) ან პლატონ სამანიშვილსა („სამანიშვილის დედინაცვალი“) და ოტია ქამუშაძეს („ქამუშაძის გაჭირვება“) შორის.

დ. კლდიაშვილი თავის მოთხრობებში თუ პიესებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მხატვრულ დეტალს. ეს დეტალი მეტად დამახასიათებელია მთელი მისი შემოქმედებისათვის. ნაწარმოების საერთო ფონზე ეს დეტალები იშლებიან როგორც უზარმაზარი სურათი აზნაურების გადაგვარებისა და დაცემისა. „სამანიშვილის დედინაცვალში“ უბრალო მხატვრული დეტალია, როდესაც პლატონ სამანიშვილი სხვაგან მიდის და ისეთი ცხენი ინათხოვრა, რომელზედაც შეჯდომა შეუძლებელია:

—„ამაზე შეჯდომა შეუძლებელია! —უთხრა მელანომ.

— აბა, ფეხით ვის მივადგე, შე ქალო?

— კი, მარა სულ არ მოგჯეს ამ საცოდავს ზურგი?

— ფეხ-ფეხ მივყვები, ბატონო, ფეხ-ფეხ მივყვები! სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!“.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ გაძვალტყავებული ცხენიც ერთერთი მთავარი მომქმედი პირთაგანია. ასევეა „სოლომონ მორბელაძეში“ ჯორი.

რასაკვირველია, აქ ჩვენ არა გვაქვს ის მდგომარეობა, რაც გამოამჟღავნეს სიმბოლისტებმა, იმპრესიონისტმა მწერლებმა, რომელნიც დეტალს მხატვრულ ნაწარმოებში განზრახ აზვიადებდნენ. ამიტომაც მათ ნაწარმოებებში ხშირად არ შუქდებოდა ან გამკრთალებული იყო ძირითადი მოვლენები, ხოლო დეტალები გაზვიადებული სახით იყო წარმოდგენილი. დ. კლდიაშვილი, როგორც რეალისტი მწერალი, ყოველთვის ზომიერებას იცავს. ასევე იქცევა იგი დეტალების საკითხში.

დ. კლდიაშვილს თავისი შემოქმედებით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის განვითარებაში. იგი თავისებური მწერალია, რომელიც მოვლენების ორგანული ათვისებითა და რეალისტურ მხატვრულ სახეებში გადმოცემით მაღალ მწვერვალზე დგას.

დ. კლდიაშვილი თავისი შემოქმედებით იყო წვრილი აზნაურობის დაცემისა და გაკოტრების მემატიანე, მაგრამ თავისი მხატვრული ენით, მხატვრული ნაწარმოებით, მან სთქვა გაცილებით უფრო მეტი, გაცილებით უფრო პროგრესული სიტყვა. დ. კლდიაშვილს არ შეეძლო კრიტიკულად არ მისდგომოდა თავადაზნაურული წოდების ყოფასა და საქმეებს. სწორედ ამიტომ გვაქვს მის შემოქმედებაში მოცემული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო ნიშნები. კომიზმის გზით გამოხატულ მომაკვდავ თავადაზნაურულ ყოფას დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში უპირისპირდება (თუმცა შედარებით მკრთალად) ჯანსაღ ადამიანთა სტიქიური ცხოვრების გრძნობა. თუმცა მწერალი გაკვრით აღნიშნავს თავის ნაწარმოებებში საზოგადოებრივი ურთიერთობის დადებით საწყისებს, მაგრამ მისი ჰუმორი მაინც ოპტიმისტურია. დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა პერსონაჟები მიემართებიან არყოფნისაკენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი მაინც გვაძლევს იმის წარმოდგენას, რომ ამ ხალხის იქით იწყება ცხოვრების გამარჯვება, რომელიც თანდათან თავისუფლდება ძველი, მავნე ტვირთისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია სიხარულიძის საბავშვო ლექსები

გიორგი კაჭახიძე

ჩვენი მწერლებიდან ბავშვებისათვის ძალიან ცოტანი სწერენ. ეს გარემოება უარყოფით გავლენას ახდენს ქართული საბავშვო ლიტერატურის ზრდასა და განვითარებაზე. ამიტომ არის, რომ მოზარდი თაობა საკითხავი წიგნების ნაკლებობას განიცდის. ამ მხრივ სკოლამდელთა ასაკის ბავშვთა მდგომარეობა უფრო დამაფიქრებელია: საბავშვო ლიტერატურის ეს უბანი ჩვენი მწერლების მიერ თითქმის უყურადღებოდ არის დატოვებული. ერთადერთი მწერალი, რომელიც მხოლოდ სკოლამდელთა ბავშვებისათვის სწერს, არის ილია სიხარულიძე.

ილია სიხარულიძე დიდიხანია მუშაობს ლიტერატურის ასპარეზზე. მისი პირველი ლექსი „სიმინდის ყანა" დაიბეჭდა 1912 წელს, ჟურნალ „ნაკადულის" მერვე ნომერში. ამ წლიდანვე იწყებს იგი თანამშრომლობას ჟურნალ „ჯეჯილში". ამ დროიდან დაწყებული ილია სიხარულიძე სამწერლო მუშაობას ეწევა. დღეს იგი რამდენიმე წიგნის ავტორია („ბუნების გამოღვიძება", „საბავშვო თამაშობანი ლექსებად", „ძველი და ახალი თბილისი", „ოქტომბრის ყვავილები", პოემა „საჰაერო განგაში" და სხვ.).

რთულია ბავშვებისათვის წერა, მით უფრო სკოლამდელთათვის. მათ წერა-კითხვა არ იციან, მხოლოდ აღმზრდელები უკითხავენ წიგნებს და ამ საშუალებით ითვისებენ ისინი ამათუიმ სახის ნაწარმოებს. სკოლამდელთა ასაკის ბავშვებისათვის რომ სწერო, უნდა ახლო იდგე ამ ასაკის ბავშვებთან, უნდა გქონდეს უნარი მათი სულის მოძრაობის გაგებისა და გადმოცემისა. ილია სიხარულიძეს შესწევს ძალა გვაჩვენოს ბავშვი თავისი სისპეტაკით და გულუბრყვილობით, შეარჩიოს ბავშვებისათვის დამაინტერესებელი თემები და სათანადო სიტყვიერი მასალით დახატოს გარემო ბავშვებისათვის გასაგებად და მიმზიდველად.

ბავშვის გულუბრყვილობის საუცხოვო ნიმუშს წარმოადგენს ილია სიხარულიძის შემდეგი სტრიქონები:

„მწვანე კაბით შემოსილი, —
ეს ხუჭუჭა ნაძვებია!
ნეტავ როგორ იძინებენ,
სულ რომ დგანან, არ წვებიან?!"

თვითონ ბავშვს ასე მშვენიერად გვიხატავს პოეტი:

„ჯერ ერთი წლის არ იქნება
პაწაწინა უჩა!
წინა კბილი ამოსვლია,
რომ იცინის, უჩანს!
და კბილები რომ ამოდის,
ამას ამჩნევს ბიჭი,
უხარია, იღიმება,
ამბობს: „აი, კიჭი!".

ბავშვი თავისებურად უმზერს და განიცდის გარემოს. მას თავისი სიტყვიერი მასალა აქვს და საკუთარი გაგებით განმარტავს ნახულსა და განცდილს. ამ მხრივ საყურადღებოა ილია სიხარულიძის ლექსი „გია". პატარა გიამ თავისებურად იცის, თუ რისთვის არის საჭირო თავი, თმა, თვალები, ცხვირი. როდესაც გიას სთხოვენ განმარტებას, იგი იძლევა პასუხებს თავისი ასაკის ბავშვისათვის დამახასიათებელი გამოთქმით და გაგებით. ილია სიხარულიძის, როგორც საბავშვო პოეტის, ღირსება სწორედ იმაშია, რომ ბავშვის ეს დამახასიათებელი სიტყვა და გაგება ბუნებრივ და პოეტურ ფორმაში მოაქცია. როგორც საბავშვო მწერალს, ილია სიხარულიძეს ხელს უწყობს არა მარტო თავისი პოეტური თავისებურება, რომელიც ბავშვის სამყაროს, ბავშვის სულის მოძრაობის გაგებაზეა დამყარებული, არამედ პედაგოგიური გამოცდილებაც.

ბავშვი ახლო არის ბუნებასთან, როგორც პირველ საწყისთან. ბავშვი, დიდებთან შედარებით, უფრო მეტად განიცდის ბუნებას და უფრო მეტად უყვარს იგი. უყვარს ზაფხული და შემოდგომა, უყვარს ზამთარი, ციდან თოვლის ფანტელების ცვენა და სახურავებზე დაკიდებული ყინულის ლოლუები, უყვარს გაზაფხული, მერცხლების მოფრენა და მწვანით მოსილ ველ-მინდორზე ყვავილების კრეფა. ი. სიხარულიძე ბავშვის ამ თვისებას არა სტოვებს უყურადღებოდ და რამდენიმე კარგი ლექსი აქვს დაწერილი ბავშვებსა და ბუნებაზე, ბავშვებსა და ცხოველებზე, რომელთაგან აღსანიშნავია „ჩურჩხელები", „გაზაფხული", „პაწია ცუგრია" და სხვები.

თამაში ბავშვის თანდაყოლილი თვისებაა. ფეხის ადგმისთანავე ბალღი თამაშს იწყებს. პოეტი, რომელიც საბავშვო ლიტერატურაში მუშაობს, ბავშვის ამ თვისებას გვერდს ვერ აუვლის. ი. სიხარულიძეც პატარებს თამაშის მომენტში გვიხატავს. მაგრამ თამაში პოეტის ლექსებში ბავშვების მარტო გამრთობი როდია, — პოეტს თამაშის აღწერაში შეაქვს შრომითი ხასიათი და გარემოს შეცნობის მომენტებიც. ზამთარში პატარები თოვლის ბაბუათი ერთობიან. როდესაც ი. სიხარულიძე ბავშვების ამ თამაშს აღწერს, აღნიშნავს: თოვლის ბაბუა მანამდე არის ყოჩაღად და მაგრად, სანამ ზამთრის სუსხია, მაგრამ დადგება თუ არა [illegible] გაზაფხულის მზიანი დღეები, თოვლის ბაბუა უძლურდება, კნინდება და ბოლოს ქრება. თამაშის შესანიშნავ სურათს იძლევა ი. სიხარულიძის ლექსი „აწონდაწონა":

„აგერ ჯირკი, ზედ ფიცარი,
აქეთ-ვანო, იქით-ნონა;
დასკუპდნენ და აქანეს,
აიწონა, დაიწონა.
...რა კარგია ასე ფრენა,
დახეთ ცელქებს მოეწონა;
ადიან და ჩამოდიან,
აიწონა, დაიწონა".

მაგრამ არა მარტო ბუნება და თამაში იტაცებს ბავშვს, არამედ სწავლაც, წიგნების კითხვა, სკოლაში სიარული. სწავლის წყურვილს საუცხოვოდ გამოხატავს ილია სიხარულიძის ლექსი „გურამიკოს სწავლა უნდა".

ილია სიხარულიძე სკოლის ასაკის ბავშვებისთვისაც სწერს. ამ ასაკში ბავშვი ამჟღავნებს თავის უნარსა და ნიჭს, დადებით და უარყოფით თვისებებს. პოეტიც გვიხატავს უნარიანსა და მუყაით ბავშვებს, მაგრამ ამავე დროს არ ერიდება გვიჩვენოს ცუღლუტებიც. ბეჯითი ბავშვების, სწავლის ფრიადოსნების მოცემით ილია სიხარულიძე ამაღლებს მკითხველი ბავშვების სწავლისა და შრომის უნარიანობას, ამაღლებს მათ სულს. ბეჯითი ბავშვების დამახასიათებელ სურათს იძლევიან ლექსები „პაწაწინა ციალა" და „ქების სიგელი"; ცუღლუტ, „შარახვეტია" ბავშვების ასახვის დროს ილია სიხარულიძე ჰიუმორსაც იყენებს. პოეტი ჰკიცხავს უქნარა ბავშვებს და უჩვენებს მათ ცხოვრების კარგ გზას. ამ მიზანს ემსახურებიან ილია სიხარულიძის აღმზრდელობითი და დამრიგებლობითი ლექსები: „შარახვეტია", „ბლაჯნია" და სხვები.

სწავლასა და შრომას თან სდევს დასვენება. ჩვენი ქვეყანა დიდად ზრუნავს იმაზე, რომ მოზარდებმა კულტურულად დაისვენონ, რისთვისაც საუკეთესო აგარაკებზე გაშენებულია ბავშვთა ბანაკები. ამ ბანაკებში ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები ზაფხულის არდადეგებს ატარებენ. აქ მათი ცხოვრება განსაკუთრებულად ლაღია და ხალისიანი. ბავშვთა ამ ხალისიან ცხოვრებას გვიხატავენ ილია სიხარულიძის ლექსები: „კოჯორი—ბავშვთა ქალაქი" და „ახალშენურ-ბანაკური".

დიდი ბელადისა და ჩვენი ქვეყნის მზრუნველობით გარემოცულ ბავშვებში ბუნებრივად იბადება უსაზღვრო სიყვარული დიდი **სტალინისადმი**, ჩვენი უძლეველი სამშობლოსადმი. ბავშვებს, დიდებთან ერთად, იტაცებს ისეთი ნაწარმოები, რომელიც გამოხატავს ბელადისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლებისადმი სიყვარულს, მათ გმირულ ბრძოლებს. ბავშვები გატაცებით კითხულობენ ისეთ წიგნებს, რომლებიც ეხებიან წითელი არმიის სახელოვან ბრძოლებს, ჩვენს გმირებს.

ბელადისადმი დიდი სიყვარულის გამომხატველია ილია სიხარულიძის ლექსი „ლალი მოსკოვში აპირებს". ლალი სიხარულით შეჰყურებს ძია **სტალინის** სურათს. ლალის ძლიერ მოსწონს ის სურათიც, რომელზედაც გამოხატულია ძია **სტალინი** პატარა გოგონათი ხელში. ეს გოგონა სწორედ ლალის ხნისაა. ლალის ოცნებაა, როცა მამა მოსკოვში წაიყვანს, ნახოს ძია **სტალინი.** დიდი ბელადის ნახვა პატარა ლალის ასე აქვს წარმოდგენილი:

„ძია ხელში რომ ამიყვანს,
მე კი ყელზე მოვხვევ ხელებს,
შემდეგ ვიტყვი სიმღერებს,
ასე — ყელს მოვიღერებ,
ლექსებს ვიტყვი სუყველას,
ვნახავ ძიას ნათელას,
მივცემ ჩირს და ჩურჩხელას,
ვითამაშებ, ვიცეკვებ,
ძაან კი არ ვიცელქებ".

სამშობლოს სიყვარულს, სამშობლოს დაცვის გრძნობას გამოხატავენ ილია სიხარულიძის ლექსები „მეომარი ომარი", „ძია შმიდტი" და განსაკუთრებით პოემა „საჰაერო განგაში". „საჰაერო განგაში" საინტერესოა პოეტური მოფიქრებით და აქტუალობით. პოემას აქვს ბავშვისათვის მახლობელი, მიმზიდველი ფაბულა და სუჟეტი. ბავშვთა თამაშის ფონზე მასში მოცემულია სამშობლოს დაცვის გრძნობა.

ილია სიხარულიძის თითქმის ყოველ ლექსს აქვს კონკრეტული ფაბულა და სუჟეტი. ეს გარემოება ხელს უწყობს ბავშვებს ლექსების ათვისებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ი. სიხარულიძის ბევრი ლექსი ფოლკლორის ნიშნებს ატარებს. ასე, მაგალითად:

„ყვავო, ყვავო, ყვანჩალა,
აქ რამ მოგაჩანჩალა?!
შეხტი, ფრთები გაშალე,
დაუარე ჩქარ-ჩქარა!"

ილია სიხარულიძის ამ ხასიათის ლექსები დიდად გავრცელებულია ჩვენს საბავშვო ბაღებში. ზოგ მათგანზე მუსიკა არის დაწერილი და ბავშვები მღერიან.

დადებით თვისებებთან ერთად ილია სიხარულიძის შემოქმედებას ნაკლიც ახასიათებს. განსაკუთრებით ითქმის ეს პოეტის ადრინდელ ლექსებზე. ზოგიერთი მათგანი მხატვრული თვალსაზრისით ვერა სდგას სათანადო სიმაღლეზე. მათ ხშირად აკლიათ მხატვრული ზომიერება, ახასიათებთ გადაჭარბებული აღწერილობა, პროზული გამოთქმები და ნაწილობრივ სქემატურობაც. ილია სიხარულიძემ ბოლო დროს ლექსებში საგრძნობლად გამოასწორა ეს ნაკლი, მაგრამ პოეტის ლექსებში ალაგ-ალაგ მაინც გვხვდება ზედმეტი აღწერილობა. გვხვდება უხერხული გამოთქმებიც. მაგალითად: „გვევალება გავუქუოთ". ამ სიტყვას ამბობენ კატები თაგვების მიმართ. სიტყვა „გავუქუოთ" არა ესთეტიკურია, პროვინციალიზმია და ცუდად ისმის. როდესაც პოეტი აღწერს თაგვების ლხინსა და ცეკვას, ამბობს: „და ფეხებით რა არ ქნეს, ჩაბუქნეს და ჩაბუქნეს". უხერხულია გამოთქმა: „და ფეხებით რა არ ქნეს".

ილია სიხარულიძე ზოგჯერ რითმების ხმარებაშიც იჩენს დაუდევრობას. ასე, მაგალითად, დაუდევრობის მაჩვენებელია ასეთი რითმები: კბილები — ღილები; ხედავს — შეხედა; მიადგა — ადგა; ქვა-კირი — ქვითკირი; წამოგიყვან — მოგიყვან; მინახავს — რა ნახა.

მართალია ილია სიხარულიძის ლექსებს ადვილად ითვისებენ ბავშვები, მაგრამ ბავშვების მხატვრული გემოვნების ამაღლებისათვის პოეტმა მეტი ფერი და დანიშნულება უნდა მისცეს ლექსის სტრიქონს, მეტად უნდა შესძლოს მთავარისა და ნიშანდობლივის ჩვენება.

ილია სიხარულიძეს შეუძლია სწეროს უკეთესად. საამისო ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება მას აქვს. ამას ცხადყოფენ პოეტის ბოლო დროის ლექსები, რომლებიც მაღლა დგანან მის ადრინდელ ლექსებზე როგორც შინაარსობრივად, ისე მხატვრულადაც.

ახალი წიგნები

„ვეფხის-ტყაოსანი" ლაკურ ენაზე

ლაკურ ენაზე (დაღისტანის ერთ-ერთი ენაა) გამოვიდა ლიტერატურის ქრესტომატია, რომელშიაც მოთავსებულია ბიოგრაფიული ცნობები შოთა რუსთაველზე, „ვეფხის-ტყაოსნის" შინაარსი და ლექსად თარგმნილი „წიგნი ნესტან-დარეჯანისა". თარგმანი ეკუთვნის ქრესტომატიის შემდგენელს მწერალ ჰუსეინ ჰაჯიევს, რომელსაც თბილისში უცხოვრია და იცის ქართული ენა.

„მეტელიცა"

საინტერესოდ არის დაწერილი ა. ფადეევის პატარა მოთხრობა „მეტელიცა". იქ აღწერილია წითელ პარტიზანთა ცხოვრების ერთი ეპიზოდი.

გმირობა, თავდადება სამშობლოსათვის, საბჭოთა ხალხისათვის, ხალხის სიყვარული წითელ არმიისადმი ცხოვლად არის გამოხატული ამ პატარა მოთხრობაში.

მოთხრობა თარგმნილია თ. ბაქრაძის მიერ. წიგნში გამოყენებულია რუსული გამოცემის სურათები, რომლებიც მხატვარ ბ. დეხტერევს ეკუთვნის. წიგნი გამოცემულია საბლიტგამის მიერ, შეიცავს 32 გვერდს და ღირს 1 მან. და 50 კაპ.

„ოთხი ზღაპარი"

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა როდიონ ქორქიას „ოთხი ზღაპარი". წიგნში მოთავსებულია „ჭინკა", „ოთხი გომბეშო", „კოღო" და „სიღარიბე".

ყველა ზღაპარი სოციალურ თემაზეა აგებული. ეს წიგნი ქართულ საბავშვო ლიტერატურაში წარმოადგენს თანამედროვე, საბჭოთა ზღაპრის შექმნის პირველ ცდას.

წიგნი დასურათებულია მხატვარ ს. გაბაშვილის მიერ, შეიცავს 48 გვერდს და ღირს 3 მან. და 50 კაპ.

„თექვსმეტის სამშობლო"

საბლიტგამმა გამოსცა ელიზბარ პოლუმორდვინოვის „თექვსმეტის სამშობლო". წიგნში აღწერილია ახალი საბჭოთა რესპუბლიკის ესტონეთის ბავშვების მოგზაურობა საბჭოთა რესპუბლიკებში. წიგნი შეიცავს 32 გვერდს და ღირს 3 მან. და 50 კაპ.

„ვეფხის ტყაოსანი" ყირგიზულ ენაზე

ქალაქ ფრუნზეში დაიბეჭდა „ვეფხის ტყაოსანი" ყირგიზულ ენაზე. თარგმანი ეკუთვნის ალქულ ოსმინოვს.

ილო მოსაშვილის „საბავშვო პოემები"

საბლიტგამმა გამოსცა ილო მოსაშვილის საბავშვო ნაწერების პატარა კრებული „საბავშვო პოემების" სახელწოდებით. კრებულში მოთავსებულია სამი პოემა: „როზგა ჩაფარი", „უცნაური ცხოველი" და „ერთად".

გარდა პოემებისა, წიგნში დაბეჭდილია მოთხრობა „თოლია".

წიგნი დასურათებულია გ. გულისაშვილის მიერ, შეიცავს 58 გვერდს და ღირს 6 მანეთად.

„ბურატინოს თავგადასავალი"

საბლიტგამმა გამოსცა ალექსეი ტოლსტოის სათავგადასავლო ჟანრის მოთხრობა „ოქროს გასაღები ანუ ბურატინოს თავგადასავალი". წიგნი რუსულიდან თარგმნილია თ. ოქროშიძის მიერ. წიგნში გადმოღებულია რუსული გამოცემის დასურათება, რომელიც მხატვარ ბ. მალახოვსკის ეკუთვნის.

წიგნი შეიცავს 116 გვერდს და ღირს 6 მან.

„საბავშვო ლიტერატურის მოამაგე"

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა მიხეილ ხელთუბნელის წიგნი — „საბავშვო ლიტერატურის მოამაგე". წიგნი შეიცავს ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცელ მიმოხილვას. მიხ. ხელთუბნელს თავის წიგნში გამოუყენებია მეტად საინტერესო ფაქტიური მასალა ამ დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების გასაშუქებლად. მისი კერძო ცხოვრების აღწერის ფონზე ავტორი იძლევა მეტად თვალსაჩინო მასალას ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან.

წიგნი შეიცავს 124 გვერდს და ღირს 6 მან.

ახალგაზრდა მწერალთა სექციაში

17 აპრილს საქართველოს კომკავშირის ც. კ.-ში შესდგა ახალგაზრდა მწერლების სექციის მორიგი სხდომა.

ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ბესარიონ ჟღენტმა. მომხსენებელი ცალცალკე შეჩერდა ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების შემოქმედებაზე, გაარჩია 1940 წლის განმავლობაში ჟურნალ „ჩვენს თაობაში" მოთავსებული მხატვრული პროდუქცია.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ლ. ავალიანმა, ქ. ხიმშიაშვილმა, ალ. გომიაშვილმა, გივი კაჭახიძემ და ა. ლომიძემ.

ბ. ჟღენტის საბოლოო სიტყვის შემდეგ ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების გარშემო ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კომკავშირის ც. კ-ის მდივანმა ამხ. გ. იმნაიშვილმა.

ძატუ

(ნაწყვეტი რომანიდან „უძლევი")

ნიკო ლორთქიფანიძე

ქალბატონი მზეხათუნის წყალმაკიანი მუცელი გაჭირვებით დაჰქონდათ დასივებულ ფეხებს. გოგომ არაფერი იცოდა, მოსაზრებაც ვერ ჰქონდა მკვირცხლი, მაგრამ მიტან-მოტანისთვის ზედგამოჭრილი იყო და ყველაფერზე მკვირცხლად ამბობდა: „ქო, პატენი!" გოგო და ქალბატონი ერთმანეთს შეეთვისენ: პატარა გოგოს, როგორც ეტყობოდა, მშობლების სახლშიაც არ ჰქონდა დიდი პატივი და მზეხათუნის სუფრის ნარჩენი, და ათასჯერ მიკერილ-მოკერილი სამოსი სავსებით აკმაყოფილებდა. მზეხათუნმა კი ჯერ ერთი, დიდკაცობაში შესდგა ფეხი — მოახლის ყოლა ხომ ყველას არ შეეძლო, მეორე—სირბილი აღარ სჭირდებოდა.

გავიდა წელი, პირველ წელს მოყვა მეორე და მეოთხე და მათ შეხმატკბილებულ ცხოვრებას თითქოს ვერაფერი დაარღვევდა, რომ ერთ საღამოს ორჯერ-სამჯერ დაძახებული მზისავარი (ასე მონათლა დიდის შინაგანი ყოყმანის შემდეგ მზეხათუნმა მეგრელი გოგო ძატუ) ზანტის, ერთის მხრიდან მეორე მხარეზე გადაქანებული აჯაბაჯათი მიუახლოვდა თავის ქალბატონს. დაგვიანება, უცნაური სიარული, აჭორფლილი სახე უეცრად მოხვდა თვალში მზეხათუნს და თითქოს ელვამ წყვდიადი გაანათაო.

— მიადექი ამ კედელს, — უბრძანა ქალბატონმა, და გოგომაც ბრძანება აასრულა.

— ასე არა,... თავი, ქუსლები და ზურგი რომ მიეკრას კედელს... აი ასე — და მზეხათუნი ხელით მიეხმარა, რომ ბრძანება ზუსტად ასრულებულიყო.—ახლა ხელები ასწიე ზევით, რაც შეგეძლოს. ჰო, გააჩერე ასე, — და ქალბატონმა გვერდიდან გახედა გოგოს მუცელს. დიდი კვლევა ძიება არ იყო საჭირო — ყველაფერი ნათლად სჩანდა.

— უი, თვალი კი დამიდგა! რას ვხედავ ამას?! ორსულია, ორსული, დედა ნუ წამიწყდება! — მზეხათუნს უნდოდა ერთი მიერტყმია, მაგრამ შეჩერდა, ტახტზე დაბრძანდა და განაჩენის გამოტანას შეუდგა.

— ორსულად ხარ ხომ? — შეეკითხა ქალბატონი.

პასუხი არ იყო საჭირო, საწყალი გოგო ისე კანკალებდა, ისე იკუჭებოდა და სახეს ხელებით ისე იფარავდა.

— ვისია? — მაგრამ ეს კითხვაც ზედმეტად ეჩვენა მზეხათუნს —სულწაწყმენდილი ჩემი ქმარის, აბა ვისი იქნება — თვითონვე მისცა თავის თავს პასუხი.

— ბატონისაა ხომ? ამოიღე ხმა, შე ეშმაკის ფეხო!..—მაგრამ ჩვეულებრივი „ქო პატენი" მაინც ვერ გაიგონა და გაბრაზებული წამოიწია და მიაძახა:

— არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, გათხარე მიწა და ჩაძვერი შიგ, დამეკარგე აქედან.

და პირზე ხელაფარებული ზლაზვნით გაშორდა.

○

— ორსულათაა მზისავარი — დაიწყო მზეხათუნმა წვრილათ.

— რას ბრძანებ, ქალბატონო?! — თავის მხრით შეეკითხა მიხეილი.

— ჰო, ორსულათაა... ვისი უნდა იყოს ნეტავი?

— იმ ბიჭის უნდა იყოს, აქ რომ დაეთრეოდა წამდაუწუმ.

— ნუ წაიწყმენდ სულს, რას ერჩი იმ საცოდავ ბიჭს, არც დასიზმრებია.

— რავა არ დასიზმრებია?! საჩუქრები რომ მოჰქონდა, რა იყო აბა?

— რა საჩუქარია დედის ნაქონი ორი ღილი და სამი კაკალი თაღლითი!

— აბა დედოფლის ჯიღას ხომ ვერ მოუტანდა? რაც ჰქონდა ის მოჰქონდა. ხან პანტა ვაშლი, და ხან მძივი.

— ამ ოთხ წელიწადში სულ ოთხჯერ თუ იყო, შე კაი კაცო!

— შე დალოცვილო, ოთხი მოსვლა არ ეყოფა ერთი ზღმურტლიანი ბაღანეის გაკეთებას?! გელათის მონასტერი ხომ არ არი წლობით აშენოს კაცმა.

— უი, უი! რას ამბობს ეს უნამუსო?! რავა აყროლდა და აყროლა ყველაფერი! — შეკივლა მზეხათუნმა.

— რა გენაღვლება ახლა, მზეხათუნ ჩემო, ერთი გოგო ან ბიჭი რომ შემოგვემატოს. უნდა გიხაროდეს კიდეც. და თუ ქალი ხარ სოფელ ქვეყანას ნუ შეაწრიალებ — შენც სასაცილო გახდები და მეც. ისე ჩუმჩუმად ასეთი ამბავი ყველგან ხდება.

მიხეილმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ თვითონ არაფერ შუაშია. დარწმუნებული იყო რომ ბავშვი იმ ბიჭს ეკუთვნოდა, რომელთანაც თავი შეაფარა ოდესღაც გაქცეულმა ძატუმ, და რომელიც მოდიოდა და ეკურკურებოდა, მაგრამ თავგამოდებით არ უარყოფდა თავის მამობას — უნდოდა მზეხათუნისთვის დაემტკიცებია, უშვილობა შენი ბრალიაო და ჯერ კიდევ ჭარმაგ ვაჟკაცად თავი გამოეყვანა.

— უი, უი, ფუი ეშმაკს! — დარჩენოდა მხოლოდ წამოეძახა მზეხათუნს და მარტო შედგომოდა ამ უბედურობის თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომებს, მაგრამ სანამ დამხმარედ არ გამოჩნდა მთელი მიდამოს ხან მოწვეული და უფრო ხშირად უწვევი დამრიგებელი ქალბატონი პუპი, მანამ მზეხაოუნმა საქმეს თავი ვერ მოაბა.

მიჯნურობის მხარეს ყველაზე ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მზეხათუნი. ავადმყოფ ქალს ხვევნა-ალერსი თითქმის ათი წელია აღარც კი აგონდებოდა, მაგრამ არ შეეძლო გულგრილად ეყურებინა, მის დოვლათს როგორ დაეპატრონებოდა ვიღაც ორ ჭადში გაცვლილი გოგო. გაეგდო? და აღარ ყოლოდა მოახლე? ქალბატონი ისე შეეჩვია ქალბატონობას, და ახლა ამ სიბერის დღეს სადღა შეუძლია ცეხვა, რეცხვა, ბოსტნის გამოხილვა, საქონლის ფუნის გატანა. არ შეუძლია! სწორედ არ შეუძლია! ქმარა, რაც სიყმაწვილეში თავი ჩააკლა, წელი ჩააწყვიტა ამ უმადურ ოჯახს.

— დავტოვო? — მეათეჯერ ეკითხებოდა თავის თავს მზეხათუნი — და უყურო ჭვრიტიმალიდან, როგორ ალერსობენ? არ შემიძლია, არ შემიძლია! რა ვქნა?

ასე ფიქრობდა მზეხათუნი, როცა ჭიშკარში ჩამოვიდა პუპი და ისე დაადგა თავზე, რომ ფიქრში გართულს არც შეუმჩნევია.

— უი, უკაცრავად, გენაცვალე...— დაიწყო ბოდიში მასპინძელმა.

— ვიცი, ჩემო მზეხათუნ, სტუმარმასპინძლობის თავი არ გაქვს ახლა ნუ მომერიდები, ჩემთან შენ რა ბოდიში გინდა? ნეტავი კი რამე შემეძლოს, თვარა...

დასხდენ და ერთხანს სდუმდენ.

— მაინც რა ვქნა, ვერ გადამიწყვეტია? — მწუხარედ დაარღვია სიჩუმე მზეხათუნმა — მირჩიე რამე!

— ხომ იცი, ასეთი საქმე თვითონ უნდა გადაწყვიტოს კაცმა. მე რომ ვიყო, ახლავე გავაგდებ გოგოს და მისი ჯანი, თვარა დაგიგდებს ბუშს და ზარდე შენ, შუმგულაძის ქალო. იქნება მერე ნაწილიც მოითხოვოს იმ ბიჭმა და უყარე ქაკალი. შვილი შენ არ გყავს საუბედუროდ.

— მეც მასე ვფიქრობ, მარა ოჯახს რა უყო, აღარ შემიძლია, პუპი ჩემო, გარჯა და ეს მკლავს.

— ახლა შენ ვერაფერზე უარს ვერ გეტყვის შენი ქმარი, გიყიდოს ერთი კაი გოგო და მოგართვას საუპატიოთ.

— სად გვაქვს მაგდენი, პუპის ვენაცვალე?

— რატომ არ გაქვს? დაიკლოს შენმა ქმარმა. თუ ასეთი დარდიმანდობა უნდა, კიდეც იშოვოს. შენი რა საქმეა, სად იშოვის?! ზღვიდან ამოიღოს და მთვარიდან ჩამოიტანოს. სხვა თუ არაფერი, ცხენი ხომ ყავს, გაყიდოს და ის იქნება — აბა, აბა ხასებით აავსებიებ ოჯახს? — უფრო და უფრო კაპასობდა პუპი.

— კაი ახლა, თუ გინდა გავაგდე გოგო, სად უნდა წავიდეს? — მზეხათუნი ეძებდა დამაბრკოლებელ მიზეზს რომ გოგო შეენარჩუნებინა.

— მაგას კი უნდა, მართლა, მოფიქრება... ქრისტიანი კაცის შვილია, კატის კნუტსავით ხომ ვერ გადააგდებ — და პუპი ღრმად ჩაფიქრდა—ჰო, დიდიხანია ვიფიქრე ამაზე, მარა არ ვიცი დანამდვილებით... კნეინა როსკანის რძალი ტერეზია ფეხმძიმედ ბრძანდება. ეს შენი გოგო ჯანსაღია, უთვისტომოა, — იქნებ ქნას წყალობა და აიყვანოს. ერთხელ ისიც მითხრა, მინდა ისეთი ძიძა ვიშოვო, რომ მარტო ჩემი შვილის იმედით იყოსო! შეიძლება ცოტა რამე კიდეც მოგცეს. გავა წლები და ახლა როსკანი შენ გოგოს არ დაეხარბება, დაგიბრუნოს იქნებ მისი შვილიანათ, და ყველაფერი მოგვარდება. შენი ქმარიც ამ ორი-სამი წლის მერე არშიყობას აღარ იკადრებს და, რომც იკადროს, რა მოარშიყე მეყოლება?!—ქალებმა გაიღიმეს — ღმერთმანი, მგონი ასე აჯობებს.

— და მიხეილი, მიხეილი დამეთანხმება კი?

— უი, ღმერთო კი მომკალი, მიხეილს ვინ კითხავს?! ყელი გამოგჭრა და გამთელებაც მას უნდა კითხო? აბა მეიფიქრე, მზეხათუნ, გენაცვალე! ახლა კი სახლში წავალ, საკერავი მაქვს, კვირისთვის უნდა მოუსწრო ჩემ ბიჭს.

○

მეორე დღეს მზეხათუნ ქალბატონი დიაკონს ეხვეწებოდა, ქაღალდი მომეციო და ბატის ფრთა მიუტანა კალმად გამომიჭერიო. დიაკონმა ფრთა ადვილად გამოჭრა, მაგრამ ქაღალდზე ეკლესიაში წავიდა და იქიდან ერთი ნაგლეჯი მოიტანა, რომელმაც მზეხათუნი შეაცბუნა.

— კაცო, რას მიშვები, ეს სახარებიდან ამოგიგლეჯია, წავწყდებით შე სულწაწყმენდილო.

— რავა გეკადრება, ქალო, შენ თუ არ მებრალები, დიაკვანი კაცი ამას როგორ ჩავიდენდი? ლექსის წიგნი ჰქონებია მღვდელს, შიგ ნათლობის სიას ვწერთ და იქიდან ამოვგლიჯე.

მელანიც ნაჭაზე აფხეკილ ჭვარტლითა და ძმარით შეაზავეს და მზეხათუნი შეუდგა შემდეგი უსტარის წერას:

„დიდო ბატონო და პატრონო
ყოველთა ქალთა უმშვენიერესო, სანახავად სანატრელო, ბრწყინვალეო კნეინა!

თქვენისა ხილვისა უღირსი უძლურებისა ჩემისა გამო უპირველესად უხრწნელსა ღვთისმშობელსა მარიამსა სახელოვნისა ქმარშვილისა თქვენისა ბედნიერებასა და ჯანმრთელობასა მუხლმოდრეკით შევვედრი..."

კნეინამ მეტი ვეღარ იკითხა წვეტიანი ასოებით, ქარაგმებითა და ხვეულებით ნაწერი ბარათი, განზე გადადვა და პუპის მიმართა:

— შენ გეცოდინება, პუპი, რა უნდა ამ საწყალ დედაკაცს?

პუპიმ, როგორც მისის აზრით დიდკაცებთან ბაასს შეეფერებოდა, დაწვრილებით და დალაგებით დაიწყო ამბობა არა ნაკლებ ბუნდოვანისა და ღრმა სიტყვებით.

კნეინა როსკანი წარმოშობითაც დიდი კაცის ქალი იყო, ქმარიც დიდი კაცი და დიდი მოხელე ჰყავდა, საქმე მართლაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ დიდკაცობას აათებდა—ოდიშის მთავრის მეუღლეს ადარებდა თავს, საქმიანობას აასკეცებდა, მუდამ დროის უქონლობას უჩიოდა, ამიტომ ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, საქმეს სწრაფად სწყვეტდა, პუპის ენაწყლიანობაც უნდოდა შეეწყვიტა, მაგრამ ბედათ სიტყვა მზეხათუნის იჭვიანობაზე გადვიდა, ამან კი ისე გააცინა კნეინა, რომ მხრები და გულმკერდი აუთრთოლდა, მოქანცული მუთაქას მიეყრდნო, ფეხები ტახტზე აიტანა და შემოიკეცა.

— არა, თუ ქალი ხარ თუ! ჰა! ჰა! ჰა! მიხეილი მოარშიყე!—ძლივს ამბობდა კნეინა.

— კი, თქვენი ნუგეში არ დამეკარგოს! ასე ამბობს, მათ ალერსს როგორ უყუროვო?

— მართლა მისია, პუპი? — განაგრძობდა სიცილს კნეინა.

— საწყალი მიხეილი ფიცავს, მარა რა ვიცი?! ვიღაც თქვენი ფარეში ყოფილა, ივანე ბეღურაშვილი, იმას აბრალებს.

— ჰა, ჰა, ჰა! მერე რა უნდა მაგ საცოდავს?

— წაიყვანოს ეს გოგოვო, მის მაგიერ სხვა ვინმე მიწყალობოსო.

კნეინამ თვალები მილულა, როგორც რაიმე გადაწყვეტილების დროს ჩვეულება ჰქონდა — თითქოს ჭეშმარიტებას შორით ვჭვრეტო და მოკლედ გადაწყვიტა:

— კარგი! მე ტურფისახარს გაუგზავნი, მაინც და მაინც იჭვმისატანი არაფერია, და მან ის გოგო გამომიგზავნოს. ყმაწვილია, ჯანსაღია, ხომ? არ შეცდე და არ შემაცდინო.

— რომ არ ვიცოდე და ისე წამომცდეს, ენას არ ამოვითხრი?! კენჭივითაა, კნეინას ჭირი შემეყაროს! ყვავილი სჭირდა, თორემ ამ ხუთ წელიწადში, მე ვარ მოწამე, ფრჩხილი არ წამოტკივებია, ნაყვავილევიც არ დაჩენია.

— იმ გოგოს ჯვარს გადავწერ... რა ქვია?

— მზისახარს უძახიან, და შენ, რაც გენებოს ის დაარქვი, გენაცვალოს ჩემი თავი, შენი ნება არაა!!.

— ჰო და იქნება ჩემთან ქმარიანად ამ ჩემს სასახლეში... და არ შემომესევა ძიძის ოჯახი, გვარი და მათი მოყვარე. ასი კაცი არ გამიხდება სარჩენი და საზრუნავი.

— რჩენა არ გაგიჭირდება, მარა სნეულებას ვერ შემოიტანენ ოჯახში.

— გადია, ა, არ გინდოდა მაინც ტურფისახარი, და უთხარი მოემზადოს და მიხეილ ყორაშაძესთან წააყვანიე..

— უი, ბატონო, უარი რომ თქვას?!

— მაგისთანა რამ არ გამაგონო! როგორ თუ უარს იტყვის, მოამზადე!

სამზარეულოში ყვირილ-ტირილი შეიქნა. ტურფისახარი გადიას უჩიოდა მან მომიხერხაო, მაგრამ აქაც პუპი გაჩნდა.

— ნუ სულელობ, დედაკაცო, ის მიხეილი დღეს თუ ხვალ დაქვრივდება და... ვინ იცის...

— უიმე ბეჩა, ასი წლის კაცი?

— არც შენ მყავხარ ნეკის მლოკავი გოგონა..

○

ტურფისახარმა მიხეილ ყორეშაძის ოჯახში მოიკალათა, და ცოლქმართა შორის მშვიდობა დამყარდა..

აქ ვტოვებთ სამუდამოდ მიხეილს და მზეხათუნ ყორეშაძეებს და მათ მოახლეს ტურფისახარს.

ჩვენი მოთხრობის მსვლელობისთვის მათ დაასრულეს თავისი როლი, მაგრამ ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველების დასაკმაყოფილებლად და კრიტიკოსების ყბიდან თავის დასაცავად — რა დაემართა მოთხრობის ზოგიერთ მოქმედ პირსო,—არ დავიზარებთ, მოგახსენოთ: მზეხათუნი მალე გადიტანა წყალმანკმა. ტურფისახარის სახელი ნელნელა, თანდათანობით გადაიქცა ტურპიად და როგორც ხავსი და სურო, ანწლი და გვიმრა გადიხლართება ან სილა და კენჭი მდინარის პირად აირევა ერთმანეთში ისე შეუერთდა მიხეილს... ჯვარიც კი დაიწერეს და ცხოვრობდენ

(დასასრული იხ. მე-4 გვ.).

ჩერქეზი ქალი აისე

ქეთევან ირემაძე

1697 წელს, საფრანგეთის ელჩმა სტამბოლში—დე-ფერიოლმა, ტყვეთა მოედანზე ათასხუთას ლივრად შეისყიდა ოთხი წლის ჩერქეზი გოგონა აისე.

დე-ფერიოლს თავისი ჟინმორეული ვნების დასაკმაყოფილებლად არა ერთ გზის უყიდნია ლამაზი ტყვე ქალები. აისეს შეძენის დროსაც, ფარული აზრით მოქმედებდა,—მას უნდოდა ეს პატარა oeuvre d'art (ხელოვნების ქმნილება) თავის გასართობად აღეზარდა.

ელჩმა ნაყიდი ტყვე პარიზს წარგზავნა, თავის რძალთან, მადამ ფერიოლთან. მადამ ფერიოლი, სასახლის კარის ბანოვანი, ცნობილი იყო სამიჯნურო ურთიერთობით და მოხდენილი ხრიკების ოსტატობით. ჩერქეზ ქალს სახელიც შეარქვეს — შარლოტა აისე და ამგვარად მთის ყვავილი ახალ ნერგზე დაამყნეს. მადამ ფერიოლი მას მონასტერში გზავნის, სადაც იგი საუცხოოდ ითვისებს ფრანგულ ენას და კულტურას.

სამონასტრო სკოლიდან გამოსული ჩვიდმეტი წლის აისე მადამ ფერიოლს სასახლის საზოგადოებაში შეჰყავს. ნატიფი გემოვნება, მოხდენილი კილო, დახვეწილი ენა ჰფარავდა საფრანგეთის ფეოდალური არისტოკრატიის პირმოთნეობას და ავხორცობას.

ლუი მე-14-ის სასახლეში წარსდგა ლერწამ-ტანიანი, შველივით ყელმოღერებული პირმშვენიერი აისე. მისი ეგზოტიური ეშხი ყველას ყურადღებას იპყრობს.„La jeune circassienne", „La belle circassienne" („ახალგაზრდა ჩერქეზი ქალი", „მშვენიერი ჩერქეზი ქალი"),—გაისმის ირგვლივ.

ჭკუიანი, გონიერი ყმაწვილი ქალი გულჩათრხობილი ადევნებს თვალყურს იმ საზოგადოებას, რომელიც გარს ეხვია.

1711 წ. აისეს შემსყიდველი ელჩი სტამბოლიდან პარიზს ბრუნდება. სამოცდაოთხი წლის დე-ფერიოლი ნაყიდ ტყვეზე თავის უფლებას აცხადებს. ხასიათით მტკიცე, ზნეობრივად სრულყოფილი აისე ქედმოუხრელი აღმოჩნდა. დე-ფერიოლი გაწბილებული დარჩა. ოთხიოდე წლის შემდეგ, რეგენტობის დროს, თვით რეგენტი საფრანგეთის ჰერცოგი ორლეანელი ათასგვარი ხერხით ცდილობს დაიახლოვოს ლამაზი ქალი. დახმარებისათვის ენა-მოქარგულ მადამ ფერიოლისაც მიმართავს იგი, მაგრამ აღშფოთებულმა აისემ მტკიცედ აირიდა ეს ინტიმობა, რომელსაც ასეთი მონდომებით ელტვოდა სასახლის კარის ყოველი ლამაზმანი. მან დაჟინებით განაცხადა: თუ არ მოასვენებენ, იძულებული გახდება თავი მონასტერს შეაფაროს. რეგენტსაც ისეთივე ბედი ხვდა, როგორც დე-ფერიოლს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის მიმართ აისემ მადლიერების და პატივისცემის გრძნობა მაინც შეინარჩუნა ზრუნვისა და ყურადღებისათვის. სენტ ბევის თქმით: „აუცილებელი იყო, რომ ეს ჩერქეზის ქალი, გამოსული აზიის ბაზრიდან, ჩამოყვანილი ყოფილიყო საფრანგეთში, რათა აღედგინა ძეგლი კდემამოსილებისა და გრძნობათა სიწმინდისა". 1722 წ. დე-ფერიოლი გარდაიცვალა, სიკვდილის წინ მან თავის აღზრდილს სამუდამო პენსია დაუნიშნა.

იმავე წელს დუ-დეფანის სალონში აისემ გაიცნო შევალიე დ'აიდი. ძლიერი სიყვარული დაეუფლა ახალგაზრდა ქალს. ტყუილად როდია ნათქვამი: „თუ ჩერქეზის ქალი ვისმეს შესტრფის, იგი მთელის გულით ეძლევა ამ გრძნობასო". დრამატიული პერიპეტიებით არის აღსავსე აისესა და შევალიეს იდუმალი ურთიერთობა, რადგან შევალიე იმ რელიგიური კონგრეგაციის წევრი იყო, რომელიც მოითხოვდა უქორწინობის აღქმას. ახალგაზრდა მიჯნურნი გატაცებით შეფრფინვიდნენ ერთმანეთს და სიკვდილამდე ერთგულნი დარჩნენ ამ გრძნობისა.

აისე დაჯილდოვებული იყო სათუთი გემოვნებით, ღრმა დაკვირვებისა და განსჯის უნარით. ამიტომაც იყრიდნენ მის გარშემო თავს ფრანგული ლიტერატურის მოყვარულნი და მოღვაწენი, რომელნიც დიდად აფასებდნენ მთის ასულის აზრსა და გემოვნებას. ფრანგულ ლიტერატურაში მშვენიერმა ჩერქეზის ქალმა დასტოვა ძვირფასი ტომი თავისი წერილებისა. იმ დროს ეპისტოლიარული სტილი დიდად განვითარებული იყო საფრანგეთში. მადამ დე-სევინიესა და სხვათა წერილებში საკმაოდ ვრცლად არის ასახული მათი თანადროულობა. აისეს წერილები ცოცხლად ამსახველი სურათებია მაშინდელი საზოგადოებრივობისა. წერილების ტომი პირველად 1787 წ. დაისტამბა (აისეს გარდაცვალების ორმოცდათოთხმეტი წლის შემდეგ). წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა. სულ მოკლე ხანში რამდენჯერმე გამოიცა. 1758 წელს ხელნაწერებში გაეცნო ამ წერილებს ვოლტერი, რომელმაც რამდენიმე შენიშვნაც მიუძღვნა მათ. ეს შენიშვნები შემდეგში წერილების პირველ გამოცემას დაურთეს.

ვოლტერი სწერდა: „ეხლახან წავიკითხე მადემუაზელ აისეს წერილების ტომი, მიწერილი ჟენევაში, მადამ კალანდრინთან... გულუბრყვილობა მადემუაზელ აისესი არც თუ ისე უბრალოა. მას კარგად ესმოდა—თუ რა არის ბოროტება, რომელსაც თავის გარშემო ხედავდა, იგი უსაყვედურებდა თავის თავს, რომ იღებდა მონაწილეობას მასში... თუმცა მისმა უმანკო და კეთილშობილმა ბუნებამ ზიზღით აქცია ზურგი ამგვარ ცხოვრებას... იგი იწყებს თავის წერილებს მაშინდელი ფუქსავატი ცხოვრების აღწერით, გვიამბობს თეატრის ახალ ამბებს, იძლევა იტალიური კომედიისა და ოპერის ქრონიკას, თვალწინ გვიშლის მაღალი წოდების წვრილმან სკანდალებს. იგი ნამდვილი პატარა მიმდინარე ამბავთა გაზეთია, რომელიც ჩვენ არც ისე ბევრი მოგვეპოვება საუკუნის პირველ ნახევარში... ხოლო თუ რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, ის განრისხებულ ხმას იმაღლებს და აღშფოთებით აღნიშნავს, რომ „მოხდა საძაგელი საქმე, რის გამოც თმა ყალყზე გვიდგება... ეს ამბავი მეტის-მეტად საზიზღარია, მისი აღწერა შეუძლებელია, მაგრამ ყოველივე ის, რაც მონარქიაში ხდება, მოწმობს მის სწრაფ რღვევას და დაცემას".

ამავე წიგნის გამო სენტ ბევი სწერდა: „ეს პატარა ტომი ერთი იმ წიგნთაგანია, რომელსაც თაყვანისმცემლები დღესაც ჰყავს... ასეთი წიგნის წაკითხვას ურჩევ და მიაწვდი იმას, ვინც გიყვარს, პატივსა სცემ და შეუძლიან შეაფასოს ამაღლევებელი ნარევი ბუნებრიობისა, სიწმინდისა და სინაზისა".

აისეს წერილები ჭეშმარიტად ლიტერატურული ნაწარმოებია. თავისი ეპოქის მრავალი საზოგადოებრივი და ყოფითი მოვლენა ორიგინალური, მხატვრული სახეებით არის წარმოდგენილი მათში. აისეს წერილები ვრცლად გვაცნობენ მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთის ლიტერატურულ - კულტურულ ცხოვრებას.

უთუოდ არის ერთგვარი მომხიბლაობა იმაში, რომ ჩერქეზმა ქალმა თავისი წერილებით შესამჩნევი კვალი დასტოვა ფრანგულ ეპისტოლარულ ლიტერატურაში.

„ლერმონტოვი კავკასიაში"

საბავშვო გამომცემლობა დიდი რუსი პოეტის საიუბილეო დღეებისათვის გამოსცემს ენიკოლოპოვის წიგნს „ლერმონტოვი კავკასიაში". წიგნი დაწერილია ლერმონტოვის კავკასიაში ყოფნის შესახებ არსებული დოკუმენტალური საარქივო მასალის მიხედვით. რუსულ გამოცემასთან შედარებით წიგნის ქართული გამოცემა შესწორებული და შევსებული იქნება.

წითელი არმიის სახლში

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის სახლმა ლერმონტოვის იუბილესთან დაკავშირებით № ნაწილებში ჩაატარა ორი მოხსენება: „ა. პუშკინი და მ. ლერმონტოვი" და „მ. ლერმონტოვის შემოქმედება". მოხსენებების შემდეგ მსახიობთა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი. მოეწყო აგრეთვე ლიტერატურის გამოფენა.

კულტურის ისტორია

რუსეთის გამომცემლობა „სოცეკგიზი" სამ ტომად სცემს „კულტურის ისტორიას".

ამ გამოცემის პირველი ტომი უკვე იბეჭდება. იგი შესდგება ოთხი თავისაგან.

პირველი თავი მიძღვნილია პირველყოფილ საზოგადოების კულტურისადმი

მეორე თავი მკითხველს აცნობს ეგვიპტის, მესოპოტამიის, ინდოეთის, ჩინეთის, პერუს კულტურას და აფრიკის, აზიისა და ამერიკის სხვა უძველეს ცივილიზაციას.

მესამე თავი შეიცავს ნარკვევებს ძველ საბერძნეთსა და რომზე. ამ განყოფილებაში მოთავსებულია მასალა ამ ორი ქვეყნის მეურნეობისა და ვაჭრობის, ტექნიკის, საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობის, უფლების, კერძო ყოფა-ცხოვრების, რელიგიის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გარშემო.

მეოთხე თავში აღწერილია ფეოდალური ევროპის, ბიზანტიის, არაბეთის ხალიფატის და საშუალო საუკუნეების აღმოსავლეთის კულტურა.

პირველი ტომი კარგად არის გაფორმებული და ილუსტრირებულია ხელოვნების ნაწარმოებების, არქიტექტურის ძეგლებისა და მრავალი სხვა ფოტოსურათით.

გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მეორე ტომის შედგენაზე. ამ ტომში აღწერილი იქნება კაპიტალიზმის ეპოქაში კულტურის განვითარება დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა არა ევროპულ ქვეყნებში (ლათინური ამერიკა, ირანი და სხვ.).

მესამე ტომი მიეძღვნება რუსეთის ხალხთა კულტურას. ამავე ტომში ფართოდ იქნება გაშუქებული საბჭოთა სოციალისტური კულტურა.

მოძმე რესპუბლიკების ბეჭდვითი გამოცემები

საქართველოს კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ მოაწყო „მოძმე რესპუბლიკების ბეჭდვითი გამოცემების" გამოფენა, სადაც გამოფენილია ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის ბეჭდვითი სიტყვის ნიმუშები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. გამოფენა მოწმობს გადახალისებული ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის აღმავლობას და წინსვლას კულტურის, ხელოვნების, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ფრონტებზე.

გამოფენას დიდი ინტერესით ათვალიერებენ ბიბლიოთეკის მკითხველები.

საზღვარგარეთ

ჟურნალ „დე ჟენევ"-ის ანკეტა ფრანგ მწერალთა შორის

შვეიცარიულმა გაზეთმა „ჟურნალ დე ჟენევმა" ჩაატარა ანკეტა საფრანგეთის არაოკუპირებულ ზონაში მცხოვრებ ფრანგ მწერალთა შორის. გაზეთმა მიმართა მწერლებს შემდეგი კითხვით: „როგორა აქვთ მათ წარმოდგენილი საფრანგეთის როლი ომის შემდგომ ევროპის ინტელექტუალურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში?".

„ჟურნალ დე ჟენევის" რედაქციის მიერ გამოქვეყნებული პასუხები გამოხატავენ საფრანგეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის შეშფოთებას.

პოლ კლოდელი სწერს: „არავითარი წარმოდგენა არ მაქვს იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მომავალი ქვეყანა და, ამრიგად, არც შემიძლიან წარმოვიდგინო, რა როლი მიეკუთვნება საფრანგეთს ხვალინდელი დღის ინტელექტუალურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში".

ანრი დე მონტერლანი სწერს: „რამდენიმე ხნის განმავლობაში, რომლის ხანგრძლიობაც მე არ შემიძლიან წარმოვიდგინო, საფრანგეთის აზრი, მორალი და ლიტერატურა იქნება ბრძანების აზრი, მორალი და ლიტერატურა".

ანრი ბორდო ფრანგ მწერლებს მოუწოდებს—პირი იბრუნონ უკან კორნელისაკენ, რასინისა და ბოსიუსაკენ. ამავე ხასიათის აზრს გამოსთქვამს რენე ჟიიონიც.

ფრანგ მწერალთა უმრავლესობამ არ მოისურვა პასუხის გაცემა შვეიცარიული გაზეთის ანკეტისათვის.

ბომბარდირება და რეკლამა

ლონდონის სავაჭრო ფირმები ცდილობენ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ გერმანიის ავიაციის თავდასხმაც-კი. ლონდონის „ტაიმში" მოთავსებულია ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის შემდეგი დამახასიათებელი განცხადება: „წიგნები ბომბარდირებისაგან თავშეფარვის და ჩაბნელების პერიოდის განმავლობაში საკითხავად! ეხლანდელ დაძაბულ მდგომარეობაში წიგნის კითხვა საუკეთესოდ ამშვიდებს ადამიანს. საყვარელი ავტორების წიგნები თქვენ გამოგეგზავნებათ გამოსვლისთანავე".

წიგნის გამომცემელთა საქმე ინგლისში ძალიან ცუდათ მიდის. იმავე განცხადებაში აღნიშნულია, რომ ის წიგნები, რომლებიც რამდენიმე კვირის წინათ გამოიცა მსურველს ნომინალური ღირებულების ნახევარ ფასად შეუძლია შეიძინოს.

„ლონდონის ბიბლიოთეკის" დანგრევა

ლონდონზე საჰაერო თავდასხმის დროს დაინგრა ცნობილი ხოლენდხაუზის აღმოსავლეთის ნაწილი. ამ შენობაში მოთავსებული იყო „ლონდონის ბიბლიოთეკა". ხოლენდხაუზი და ბიბლიოთეკა ეკუთვნის ლორდ ილჩესტერს. ხოლენდხაუზის პატრონები უკანასკნელი 330 წლის განმავლობაში იქ აწყობდნენ ინგლისური ლიტერატურისა და ხელოვნების წარჩინებულ წარმომადგენელთა შეხვედრებს. ბიბლიოთეკა ცნობილია უძველესი წიგნების დიდი რაოდენობით. საჰაერო თავდასხმის შემდეგ ნანგრევთა შორის დაიღუპა ამ ბიბლიოთეკის წიგნები.

ოპენჰეიმის მე-160 რომანი

ინგლისელ მწერალს ფილიპს ოპენჰეიმს, რომელიც ეხლა 72 წლისაა, თავისებური რეკორდი ეკუთვნის ლიტერატურულ „ნაყოფიერებაში", იგი ავტორია 159 დედექტიური რომანისა, ოპენჰეიმი ამავე დროს „რეკორდსმენია" ლიტერატურული ჰონორარის შოვნაში. მისი რომანი ეხლანდელ ომამდე ერთსა და იმავე დროს გამოდიოდა ინგლისსა და ამერიკაში და ითარგმნებოდა მრავალ ევროპულ ენაზე. ავანტურული ჟანრის ამერიკელი „სპეციალისტი" კრიტიკოსის შარლოტა დინის აზრით, ოპენჰეიმი ასეთი სახის საკითხავი წიგნების კლასიკოსად ითვლება.

თავის რომანებს ოპენჰეიმი ჩვეულებრივად უკარნახებს სტენოგრაფისტებს, შემდეგ მათ ასწორებენ მდივნები. ბოლოს თვითონ ავტორი ათვალიერებს თავის ნაწარმოებს.

ამასწინად ამერიკაში გამოვიდა ოპენჰეიმის მე-160-ე რომანი „უკანასკნელი მატარებელი", სადაც აღწერილია ინგლისის ინტელიჯენს სერვისის აგენტის თავგადასავალი ავსტრიაში გერმანიის მიერ ამ ქვეყნის ოკუპაციამდე.

ჯემს ჯოისი

მიმდინარე წლის იანვარში ციურიხში (შვეიცარია), გარდაიცვალა გამოჩენილი ირლანდიელი მწერალი ჯემს ჯოისი. ჯოისი დაიბადა 1882 წელს. ოთხმოცდაათიან წლებში მან გამოსცა მოთხრობების წიგნი „დუბლინელები" (რუსულადაც თარგმნილია ეს წიგნი) და ლირიული ლექსების ორი კრებული. 1916 წელს გამოვიდა ავტობიოგრაფიული მოთხრობა „პორტრეტი მხატვრისა ახალგაზრდობაში". ეს მოთხრობა თავის დროზე დიდ მხატვრულ და საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა. 1918 წელს მან გამოსცა ფსიქოლოგიური დრამა „განდევნილები", რომელსაც იბსენის გავლენა ეტყობოდა. 1922 წელს გამოვიდა ჯოისის „ულისი", რომელიც ომის შემდგომი ბურჟუაზიული ხელოვნების დეკადანსის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები იყო.

ამ ნაწარმოებმა ჯოისი ინგლის-ამერიკის მოდერნიზმის „მეტრად" გადააქცია. ამავე დროს „ულისმა" დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაზე.

ჯოისის უკანასკნელი ნაწარმოები იყო „ფიხეგანის ალაპი". ეს ნაწარმოები 1939 წელს დაიბეჭდა. ეს წიგნი ლიტერატურაში ფორმალისტური ექსპერიმენტის თავისებურ საზღვარს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში მიატოვა ჯოისმა ირლანდია. ცხოვრობდა იგი საფრანგეთში, იტალიაში და შვეიცარიაში, სადაც უცხო ენების მასწავლებლად მუშაობდა. 1920 წლიდან იგი პარიზში ცხოვრობდა. პირველი იმპერიალისტური ომის წლები ჯოისმა ციურიხში გაატარა, ალბათ, მეორე იმპერიალისტურმა ომმა განდევნა იგი ისევ ციურიხისაკენ.

ძ ა ტ უ

დასასრული

ტკბილად, სანამ ორივეს განკითხვის დღე არ დადგა, სამ თვეში ერთი მეორეს გაჰყვა „ადგილსა ყვავილოვანსა".

არც რუსეთისა და ოსმალეთის ომებს, არც, ეგრედ წოდებულ დიდ რეფორმებსა და გლეხთა განთავისუფლებას, მათზე არ მოუხდენია არავითარი გავლენა.

კნეინამ ძატუს საკუთარი სახელი აღუდგინა და სასახლეში გადმოიყვანა; სასახლის მღვდელმა მოურავთან კი იბუტბუტა: „ჯერ ცოდვის მონანიება უნდა და შემდეგ ჯვარის წერაო", „დასაქორწინებელთა გამოცხადება არის საჭირო ეკლესიაშიო, ვინ იცის როგორაა მათი საქმეო", მაგრამ კნეინა როსკანის წინაშე ყოველივე დაბრკოლება გაქარწყლდა, ყოველივე დადუმდა და ორ გულითად მეგობარსა და მიჯნურს — ივანესა და ძატუს ჯვარი დასწერეს.

ბებიაქალმა ლოგინიდან ჩამოიყვანა ძატუ, სკამზე დასვა, ხელში მიაჩეჩა დირედან ჩამოშვებული ბაწარი და უთხრა:

— დაიჭი და დაეკიდე!

მეორე ქალმა სკამს გობში ჩადგმული ფიცარი მიუყენა.

— ნუ დამიწყებ ახლა ერთი კნეინობას, რა ჩვენი საქმეა ნაზობა! შენც ერთი „დოხტური" მომინდომე!—მიაძახა ბრაზმორეულმა ბებია-ქალმა, როცა ძატუმ კივილს უმატა.

— მტკივა ბეჩა! — კიდევ უფრო შეკივლა ძატუმ.

— მტკივა! გეტკინება, აბა რავა იქნება?! როცა სიამოვნებდი, მაშინ რატომ არ გაგახსენდა რომ გეტკინებოდა, ახლა მოითმინე. საყვირალი არაფერი გაქვს—ქვეყანას ნუ გააგებიებ შენს სიკეთეს.

— რა გაუძნელდა ამ საცოდავს?!—ჩაულაპარაკა დამხმარე ქალმა ბებიაქალს.

— მკვდარი ყოფილა ბავშვი—უპასუხა ბებიამ და დაუმატა—იქნებ უკეთესიც იყოს მისთვის. კნეინა ტერეზას ბიჭი, ტყუილა ხომ არაა „დოხტურის" ხელში დაბადებული—ორივეს ეყოფა, დედასაც და ძიძასაც.

ძატუს შერცხვა და უშობიარობის მთელი შემდეგი ტანჯვა კბილის კრაჭუნითა და გულში ჩათხრობილი ვაით გადიტანა.

ბებია-ქალი გაბრაზებული იყო, რომ ორიოდე დღის წინად კნეინას მოლოგინებისთვის ქალაქიდან საგანგებოთ მოიყვანეს ექიმი, ის კი არც მიუშვეს მელოგინესთან და ახლა ამ საცოდავ ქალზე იყრიდა ჯავრს.

ქალბატონებს აუსრულდათ სურვილი: ბავშვი გაძიძებული ჰყავდათ, მაგრამ შინ იმყოფებოდა; ძიძა ჰყავდათ, მაგრამ ძიძას მთელი სოფელი არ ეკიდა ზურგზე; ამას ძიძის უშვილობაც დაემატა — ძუძუზე აყვანილი თითქმის მკვიდრ შვილად ხდებოდა.

გადიამ მხოლოდ ერთხელ გააფრთხილა ძატუ:

— სანამ ბავშვს აწოვებ, ქმარს არ გაეკარო... თუ არ დაორსულდები, ქალბატონმა იცის დაჯილდოვება — ძაღლი არ დაყეფს შენს ბედს, მარა მზეხათუნი არ გეგონოს, ცუდათ მოეწყობით...

ძატუმ ნამუსიანად შეასრულა პირობა: დარცხვენა წარსულის გამო, გადაცვლილ ბავშვზე მწუხარება, ძუძუზე აყვანილი ბატონის შვილის სიყვარული, უადგილობა და ივანეს აქე-იქით ხშირი ხეტიალი. საშუალება არ აძლევდა მათ ცოლქმრულ განწყობილებისათვის...

არც კნეინა დარჩენია მთლად მწყრალად — როცა შვილიშვილს ძუძუ წაართვეს, ძატუს მისცა იქვე, ახლო, ქცევა ადგილი, მოუწნეს და აუშენეს ისლით დახურული ჯარგვალნარევი ქოხი, გადმოუტანეს ივანეს ბარგი ბარხანა, ფულად რვა მანეთი „აჩუქა", გამონაცვალი კაბა-თეთრეული გაატანეს და გაანთავისუფლეს.

და აქ დაიწყო ცოლ-ქმარის დევგმირობა.

წინად ივანე არ აკლავდა თავს შრომასა და ჯაფას — სახლი სახლად რჩებოდა და თვითონ სასახლეში უჯდა კერის წინ ფარეშებს, მოახლეებს, ბაზიერებს და დროს ატარებდა ზღაპრებისა და ამბების თქმაში.

სასახლეს ერთი შიკრიკი მაინც სჭირდებოდა და ის იყო ყველაზე ფეხმარდი და საიმედო — მეტს არ იტყოდა და ამბებით დატვირთული მოვიდოდა. ასე ივანე თანდაყოლილ სურვილსაც ისრულებდა და ყველას სასიამოც რჩებოდა.

ეხლა კი გლეხებსაც უკვირდათ, ბატონებს კი სასწაულათ ეჩვენებოდათ, თუ როგორ გარდიქმნა კნეინას „ნაჩუქარი", ნაცრის ფერი, ყვითელი გვიმრით დაფარული ხოფი შავ მიწად და ზედ აბიბინდა ვაზი, ხილი, ყანა და ბოსტანი. ჩირგვები და ფიჩხი არ დაუწვავთ — შეშად შეინახეს, მიწა გადააბრუნეს, ფერდობებზე ღვარის ჩამონარეცხს დასალექად პატარ-პატარა ღობე-ყორე აუშენეს; ნაკვეთს ირგვლივ ბჟოლა შემოურგეს, აქ წაბლს, იქ რცხილასა და კოპიტს სურო და მაკრატელა ჩამოაშორეს, ნიგოზი დარგეს, ვენახი ჩაყარეს, „ბატონის" მიტოვებულ ქართიდან თხრილით პატივი მიუშვეს, ტყეში ნაპოვნი ნაყარი ფუტკარი ბუკად შინ დაიდგეს.

გაზრდილის ნათლიამ უშობელი აჩუქა ძატუს. სამ ბებერ თხასა და დაკირულ ჭურში ბიძამ ივანეს თითის ოდენა ორი მოზვერი მისცა, „ოღონდ დაესახლე და მეტს გაძლევ, ღმერთია მოწამეო" დაუმატა.

— მალე იმაგრებს ფეხს ჩვენი ახალი მოხევე — იტყოდა ერთი გლეხი.

— ი დედაკაცი, თვარა ივანე მეზღაპრეა? — უმატებდა მეორე.

O

„შუბიანი თეთროსანის" დღის წინა საღამოთი ძატუმ დედალი დააკვლევინა მეზობელ ბიჭს, როცა ქმარს ეძინა; თავფეხი და კუჭ-ფილტვი ცალკე მოხარშა; სამი თავლია პატარა ხაჭაპური გამოაცხო; ყველაფერი ეს ჯამზე დააწყო, სამი ანთებული კელაპტარი მიაწება და ილოცა: „შუბიანო თეთროსანო, თეთრად დამიბერე ჩემი ივანე, ჩემი გაზრდილი დავითი". ძატუს უნდოდა განეგრძო ჩამოთვლა, თუ ვისი თეთრად დაბერება უნდოდა კიდევ, მაგრამ აღარავინ ყავდა და ოდნავ გულნატკენმა ისევ გაიმეორა: „შუბიანო თეთროსანო, თეთრად დამიბერე ჩემი ივანე, ჩემი გაზრდილი დავითი" და სისხამია დილით გაალვიძა ივანე და სანთლებიანი სავსე ჯამი გაუწოდა.

— რა გინდა ქალო? — შეეკითხა თვალების ფშვნეტით ივანე.

— ჭამე, ბატონო, შენ ხარ ოჯახის უფროსი.

ივანე მიხვდა, იამა, ჯამი ჩამოართვა, წამოდგა, ჯამი კარადის თაროზე ჩამოდგა და ვითომ უნდოდა გარეთ გასულიყო რომ დედაკაცმა მიაძახა:

— არა, ა, პირი არ დაიბანო, ეს ჯამი ასე უზმოდ უნდა გასცალო.

— მოდი შენც ჭამე, აბა.

— არა, ა, ეს შენია, მარტო შენი.

ივანემ ჩვეულებები კარგად იცოდა, მაგრამ ეხლა თაღლითობდა, რომ ცოლისთვის ესიამოვნებინა და უთხრა კიდეც:

— დამავიწყდა ქალო ეს ამბები, აბა ვინ მომაშავებდა საუფროსოს და ივანე მადიანად შეექცა ხმიადს.

მზემ მოიარა ეზო. მამალმა მიატოვა ყივილი. ცაში ჟღივილით დასრიალებდნენ მერცხლები, ქათმები აკაკანდნენ. ღობის ჭიშკარში ძატუმ გადაუშვა ძროხა და მაკე ღორი. ბჟოლების ძირში დააბა თიკნებიანი თხა. მოზვრებს გამოჭრილი ჩალა დაუყარა.

— აქ მარტო მოილოცავენ მეტი არაფერი, ჩვენში კი ახლა ჯარია—ბურთაობა, ცეკვა, ქეიფი, მარულა — ლაპარაკობდა ძატუ და თან ფუსფუსებდა სახლში.

— ბატონები თუ ქეიფობენ, თორემ სხვას, შენ არ მომიკვდე, ასეთი არაფერი ჰქონდეს...

— ამ ერთი დღისთვის ყველა მოიმარაგებს ერთ ფინჩხა რამეს...

— წავიდეთ თქვენ სოფელში, მოვიკითხოთ თქვენიანები, გაგიხარდება, გაეხარდებათ.

— ეჰ, მამას არ უყვარდი... თუ ვუყვარებოდი, შენ რომ გააგებიე ჩემი აქ ყოფნა, მნახავდა ერთხელ მაინც, კვიდრი და-ძმა არ მყავს, და დედინაცვალი ხომ ღმერთმა ნუ მანახოს! ორი დღის სავალია—რამდენი საგზალი დაგვჭირდება; ახლა ძღვენი და საჩუქარი — სად აუვალთ, სად წავა?!

— არა გაისათ უნდა წავიდეთ.. ვიშოვით რამეს...—ივანემ გასცალა ჯამი და ცოლს უთხრა:

— აგაშენა ღმერთმა, მარა შენ მშიერი დამრჩი!

ნაწირვებს სადილს ვჭამთ და მოვასწრებ გაძღომას; ნუ გეშინია, მუცელი აღორებ ღორია და აქორებ ქორია.

ძატუმ მიალაგ-მოალაგა ქოხი, საჭმელ-სასმელი მიდგა-მოდგა და ცოლქმარი ეკლესიაზე წავიდა. წირვა თავდებოდა. გალავანში უკვე ყაყანებდნენ. ძატუს გული დაწყდა, რომ დასაპატიჟებელი ვერვინ დაინახა, „ასე გამოწყვეტილი რავა ვართ სოფელქვეყანაშიო", მაგრამ შინ როცა დაბრუნდნენ, მალე გამოაკეთა თავისი და ქმარის გუნება.

კერაზე ეფიცხებოდა ქოთანი, ნაჭაზე ეკიდა კარდალა ღომით; და ერთი მეორეზე დადგმულ კეცებზე ცხვებოდა ნეშოდაფარებული ჭადები.

ძატუმ მხიარულად დადგა დაბალი სუფრა, გამოიტანა კარადიდან ყველი, დააწყო ჭადი, დაავგო ღომი, ივანეს დასაჯდომ ადგილთან დადგა დოქი, თვითონ მოიდგა ქათმის ქოთანი და დაუძახა ივანეს:

— მოდი კაცო!

ივანემ სიამოვნებით გადახედა სავსე სუფრას და ამაყად სთქვა:

— თუ ელია არ გადამერია...

— ნუ ცოდავ კაცო!

მაგრამ ივანე არ შეჩერდა და განაგრძო.

— ...გაისათ ერთ ოთხ საპალნე ღვინოსაც ჩავასხამ, ახლა წყლითაც დავკმაყოფილდეთ...

— რატომ? ღვინოც გვაქ, ღვთის წყალობა!—და ჭინჭილა გადაუდგა ივანეს — დოქი მანდ არ არი?

— ბიჭოს მე წყალი მეგონა!!! მართლა რომ ღვთის წყალობაა, საიდან იშოვე?

— შე კაცო, ჩვენმა ვენახმა იმდენი კი მოისხა, რომ ქვაბში გამომეწურა ერთი ორი დოქი.

— იმე, პირველი მოსავალი ჩიტისაა, ცოდვა გიქნია... მარა კიდო უკეთესი, დევილოცავ ერთს.

ივანემ ჭინჭილა აივსო.

— სახლი გვაქ, მოზვრები წამოიზრდება, ხულაში სიმიდია, მოსავალი გვეყოფა... რა გვიჭირს? ეივსოს ეს ოჯახი სიტკბოებით, სიხარულით!..

როცა ივანემ ჭინჭილა ხელმეორეთ აავსო და ძატუს გაუწოდა, ფერწასული უძრავად მჯდომი ქალი დაინახა და გაკვირვებით ჰკითხა:

— რა დაგემართა ქალო?

— მუცელი მეძრა — წაიდუდუნა ძატუმ.

— დალიე, ყუათს მოგცემს!—და ქალს ჭინჭილა ტუჩზე მიადგა, შემდეგ ხმადაბლა დააყოლა:

— მაშ, დავსახლდით!

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე. გ. ნატროშვილი.
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 21662